ქართული

თუ

რუსული

ოცნებაა?

მახოდ ფაქტეზი

ქართული თუ რუსული ოცნება?

მხოლოდ ფაქტები

თბილისი 2018

იდეა და წინასიტყვაობა **ზაზა ბიბილაშვილისა**

მადლობა **სანდრო ბიბილაშვილს, თამარ თევდორაძეს, მოლი კორსოს** და **ნინო კალანდაძეს** კრებულის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის

მასალები მოიძია **ალექსანდრე კვახაძემ**

დამკაბადონებელი **ვიოლა ტუღუში**
გარეკანის დიზაინერი **ილია ხელაია**

ჭავჭავაძის ცენტრი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

კრებული იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-8-0651-3
© ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი. 2018

სარჩევი

წინასიტყვაობა
ზაზა ბიბილაშვილი 5

როგორ ავაშენებდი მშვიდობას კავკასიაში
ბიძინა ივანიშვილი 13

სტრიქონებს შორის გაჟონილი აზრები
ზაზა ბიბილაშვილი 19

მხოლოდ ფაქტები

1. „ოცნების“ პრორუსული რიტორიკა 30
2. რუსეთის ჯაშუშების გათავისუფლება „პოლიტპატიმრის“ სტატუსით 45
3. „ოცნება“ და ჩრდილო კავკასია 49
4. ანტი-რუსი პოლიტიკოსების, სამხედროებისა და დაზვერვის ოფიცრების დევნა 52
5. სპეცოპერაცია „კოდორი 2007“ 57
6. „ოცნების“ ხელისუფლების პრორუსული ქმედებები 60
7. ვინ დაიწყო 2008 წლის ომი? 69

„ქართული ოცნების ზოგიერთი წევრი მართლაც პროდასავლურადაა განწყობილი“ (“Some in Georgian Dream are genuinely pro-Western”), განაცხადა 2017 წლის ზაფხულში ერთმა მაღალი რანგის ამერიკელმა დიპლომატმა, როცა 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ კონგლომერატს აღწერდა. ასე ზუსტად ალბათ არც ერთ უცხოელს არ დაუხასიათებია ივანიშვილის ოლიგარქიული კაპიტალის გარშემო შეკრებილი ეკლექტური დაჯგუფება, რომლის დამფუძნებელიც უკვე მეშვიდე წელია მართავს საქართველოს.

მანამდე, 2016 წელს, პრაქტიკულად იგივე აღიარა „ოცნების“ მიერ აშშ-ში ელჩად მივლენილმა ა. გეგეშიძემ. ოღონდ ამ უკანასკნელმა აქცენტი განსხვავებულად დასვა, განაცხადა რა, რომ [პრორუსული ძალები მმართველ გუნდში] „არიან, მაგრამ, საბედნიეროდ, გადაწყვეტილების მიმღებ პროცესზე არ მოქმედებენ“.

სულ ახლახანს კი, 2018 წლის გაზაფხულზე, ერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა, რომელიც იმთავითვე ლოიალურად იყო განწყობილი „ოცნების“ მიმართ, ოპოზიციასთან დახურულ შეხვედრაზე იკითხა – „ძალიან მიამიტი ხომ არ ვიყავით ევროკავშირში, როცა თქვენს ეჭვებს სკეპტიკურად ვუყურებდით და „ოცნების“ პროდასავლურობას ეჭვქვეშ არ ვაყენებდით?“

ამ ციტატებით თუ ვიმსჯელებთ, დასავლეთისთვის უკვე ბევრი რამ ნათელია და წინამდებარე ბროშურის

გამოცემა შეიძლება დაგვიანებულიც იყოს. მეორე მხრივ, საქართველოში ამ საკითხზე ჯერ ისევ გაურკვევლობაა: საზოგადოების გამოკვეთილად პრო-დასავლური და ანტი-რუსული განწყობები ყოველთვის ლოგიკურად არ ითარგმნება ხელისუფლების ქმედებების აღქმა-შეფასებაში – ქმედებებისა, რომელიც შეუსაბამოა ქართული სახელმწიფოს დეკლარირებულ კურსთან. ბევრს უჭირს იმის დანახვა, რომ ანტიდასავლურ ძალებს მთავარი დასაყრდენი სწორედ ხელისუფლებაში ჰყავს, რაც, ერთი შეხედვით, გასაგებია – სხვა თუ არაფერი, სწორედ „ოცნების“ პირობებში დასრულდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებები და დაიწყო ევროპასთან უვიზო მიმოსვლა. ამდენად, მტკიცება იმისა, რომ „ოცნება“ პრორუსულია, არადამაჯერებელია.

ამასთანავე, არსებობს უამრავი ფაქტი, რომელიც შეუძლებელია ეჭვს არ აჩენდეს მმართველი ძალის საკვანძო ფიგურების რეალური მოტივაციის მიმართ. „ოცნების“ ღია თუ ფარული მხარდამჭერები ასეთ ფაქტებს ხელისუფლების არაკომპეტენტურობით გამოწვეულ შეცდომებად ან უნებლიე შემთხვევითობად ნათლავენ და მიიჩნევენ, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე მათ გავლენა არ აქვს.

რამდენად დამაჯერებელია ეს პოზიცია? თავად განსაჯეთ:

შეიძლება თუ არა რუსეთის ლუსტრირებული აგენტი შემთხვევით აღმოჩნდეს საიდუმლო სამხედრო ობიექტზე? – რა თქმა უნდა, შეიძლება.

შეიძლება თუ არა ოკუპირებულ ქვეყანას შემთხვევით აღმოაჩნდეს ისეთი თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამ ინფორმაციის პასუხად იტყვის, რომ რუსეთის

აგენტის თავდაცვით ობიექტებზე შეშვება პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან არაფერი საიდუმლო ამ ობიექტებზე არაა? – ალბათ, ესეც შესაძლებელია.

შეიძლება თუ არა რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნის რეინტეგრაციის მინისტრად შეცდომით დაინიშნოს პირი, რომელიც თვლის, რომ „პუტინი მტერი არ არის“? – ბევრგან ეს წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ თანამედროვე საქართველოში, სამწუხაროდ, არც ესაა გამორიცხული (ეგებ მის პოზიციას სათანადოდ არ იცნობდა ივანიშვილი? თუმცა, ერთობ უცნაურია, რომ არც გაცნობის შემდგომ გაჰკვირვებია).

შეიძლება თუ არა თითქმის ყველა საკვანძო თანამდებობაზე შემთხვევით აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო ან რომ რუსული აგრესიის „თავიდან აცილება“ ჩვენს ხელში იყო? ასეთი შემთხვევითობა მართლაც იშვიათია, მაგრამ დასაშვები.

შეიძლება თუ არა ისე დაემთხვეს, რომ მხოლოდ ერთ, 2014 წელს საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალოს ოპერაცია „კოდორი 2007“-ის მონაწილე 5 სპეცრაზმელი, რომელთა დასჯასაც რუსეთი წლებია ითხოვდა? თეორიულად, ვერც ამას გამოვრიცხავთ.

რა არის იმის ალბათობა, რომ საკუთარი სპეცრაზმელების გარდაცვალება ხელისუფლებამ არათუ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოიძიოს, არამედ უბედურ შემთხვევად მონათლოს (მაგალითად, ექსპერტიზის ჩატარების ნაცვლად, მეორე დღესვე მოახდინოს იმ შენობის დემონტაჟი, რომელშიც წყლის ავზის აფეთქებამ უშიშროების მაღალჩინოსანი იმსხვერპლა)?

პრინციპში, გამოსავლის მონახვა აქაც შესაძლებელია („არაკომპეტენტური გამომძიებლების მეტი რა არის?“).

შეიძლება თუ არა ამერიკის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანილი, რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში ეჭვმიტანილი, ცალხელა და ცალფეხა ახმედ ჩატაევი, რომელიც „ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვებიდან მალევე პოლიტდევნილის მანტიით გაათავისუფლა ციხიდან, ხელისუფლების დახმარების გარეშე შემოსულიყო საქართველოში მისი რაზმის წევრებთან ერთად, თბილისში დასახლებულიყო და ბინა საბრძოლო არსენალით აევსო? ალბათობა უკიდურესად დაბალია, მაგრამ კატეგორიულად ვერც ამას გამოვრიცხავთ – რაღაც ზებუნებრივი მანქანებით, შესაძლოა, ესეც მომხდარიყო.

შეიძლება თუ არა შეცდომას ან არაინფორმირებულობას დავაბრალოთ ის, რომ თითქოსდა ევროატლანტიკური ღირებულებებისთვის მებრძოლი არაფორმალური მმართველის საყვარელი გაზეთი რუსული პროპაგანდის ფლაგმანი „ასავალ-დასავალია“? ვერაფერს ვიტყვით, რთული დასაჯერებელია.

ეს კიდევ კარგი, მაგრამ ნუთუ შეიძლება იგივე „ასავალ-დასავალი“, თავის მხრივ, წლების მანძილზე ცდებოდეს და ურყევად მხარს უჭერდეს „პროდასავლურად განწყობილ“ ივანიშვილს?!

თეორიულად, ყოველივე ზემოთქმული მართლაც შესაძლოა უცნაური დამთხვევების მთელი კასკადი იყოს. მაგრამ რა ვუყოთ „ოცნების“ მიერ 2012 წელს განხორციელებულ „პოლიტპატიმართა“ მასობრივ ამნისტიას, რომელიც შემთხვევითობის ელემენტს მთლიანად გამორიცხავს? ამ ამნისტიით, „ოცნებამ“ ციხეებიდან პოლიტ-

პატიმრის(!) სტატუსით გაათავისუფლა ოკუპანტი ქვეყნის ჯაშუშები და რუსული დაზვერვის მოქმედი ოფიცრები, რომლებიც ამასთანავე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ. ამნისტიის კანონს ვეტო დაადო პრეზიდენტმა სააკაშვილმა და პარლამენტს შესაბამისი დასაბუთებაც გადაუგზავნა, მაგრამ „ოცნების“ სრულად ინფორმირებულმა საპარლამენტო უმრავლესობამ ვეტო ერთხმად(!) დაძლია. ცხადია, ყველა ხელისუფლებას აქვს უფლება, გამოხატოს პოლიტიკური ნება და მტერთან სუფთა ფურცლიდან დაიწყოს ურთიერთობა (მაგალითად, გაათავისუფლოს მისი ჯაშუშები, თუნდაც ცალმხრივად და არაფრის სანაცვლოდ). ეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია. მაგრამ განაცხადო, რომ შენი წინამორბედი მტრის ჯაშუშებს პოლიტიკურ(!) ნიადაგზე „დევნიდა“, სულ სხვა შინაარსის მატარებელი დეკლარაციაა – ქმედება, რომელიც არ ფერმკრთალდება, ვიდრე ამის გამკეთებელი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაშია და რომელიც თავმოყვარე საზოგადოებაში ცალსახა შეფასებასა და რეაგირებას მოითხოვს.

ეს ძალა – რომლის სახელის ორივე ნაწილი („ქართულიც“ და „ოცნებაც“) ან დიდი კურიოზია, ან ორველიანული ცინიზმი – 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს „დამოუკიდებელ“ კანდიდატად ასაღებს, მას უჭერს მხარს და, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ი. სესიაშვილის პირით გვპირდება, რომ „მაქსიმალურად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ამ კანდიდატის არჩევნებში გასამარჯვებლად“.

ეს ის ზურაბიშვილია, რომელმაც 2007 წელს რუსეთის მიერ წითელუბანში ანტი-სარადარო ბომბის ჩამოგ-

დება საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ რუსეთის გასაშავებლად დადგმულ სპექტაკლად მონათლა – განცხადება, რომელიც მას უკან არასდროს წაუღია.

ეს ის ზურაბიშვილია, რომელმაც მრავალგზის, რუსეთთან უნისონში დაადანაშაულა საქართველო 2008 წლის ომის დაწყებაში და მხოლოდ ერთხელ, ისიც კეთილსინდისიერი დამკვირვებლისთვის სრულიად არადამაჯერებლად „ახსნა“ მისი პოზიცია, რაც საშუალებას მისცემდა „ოცნებას“ ორაზროვნად განეცხადებინა, რომ „სალომე ზურაბიშვილის პოზიცია 2008 წლის ომთან დაკავშირებით ქართული ოცნების პოზიციას შეესაბამება“ (პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე).

ეს ის ზურაბიშვილია, რომელსაც „ოცნებამ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კონკურენტი არ დაუყენა (ასეთი რაიონი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ერთი იყო – ის, რომელშიც ზურაბიშვილი იყრიდა კენჭს) და რომელსაც ამჯერად, 2018 წელს, არც ერთი აქტიური, ღიად პრორუსი პოლიტიკოსი (ბურჯანაძე, ინაშვილი, სხვები) არ დაუდგა კონკურენტად საპრეზიდენტო არჩევნებზე, რათა პრორუსული სეგმენტი არ დაბნეულიყო და ხმები არ გაყოფილიყო. ჰოი, საოცრებავ! – ნუთუ ესეც უნებლიე დამთხვევაა?!

ივანიშვილისაგან და „ოცნებისგან“ განსხვავებით, სალომე ზურაბიშვილის თაობაზე საზოგადოებაში სრული კონსენსუსია. ამდენად, მისი ლამის ყოველდღიური, მოღალატური გამონათქვამებით ამ კრებულს არ დავამძიმებთ. სამაგიეროდ, შევეცდებით, საზოგადოებას დავანახოთ, რომ არანაირი განსხვავება ზურაბიშვილსა და მის მხარდამჭერ სახელისუფლებო ძალას შორის არ არსებობს. ზურაბიშვილი დღეს ამბობს იმას, რაც იმთა-

ვითვე წარმოადგენდა ივანიშვილის კრედოს და „ოცნების“ პოლიტიკის განმსაზღვრელ საფუძველს.

იქნება ბევრი ისეთი, ვინც არ შეგვედავება აქ მოყვანილი ფაქტების სინამდვილეში, თუმცა არ დაიჯერებს, რომ ეს ფაქტები რაიმე არსებით გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასა თუ მომავალზე. „რა კონკრეტულ შედეგებში აისახება ზემოხსენებული ფაქტები? რატომ უნდა ეხებოდეს ისინი საქართველოს რიგით მოქალაქეს?“ – იკითხავს დროებით აპოლიტიკურობას ამოფარებული „ოცნების“ ფარული მხარდამჭერი და იხტიბარს არ გაიტეხს.

პასუხი მარტივია: ხანდახან მომაკვდინებელი სიმსივნე დაავადების ბოლო, უკურნებელ სტადიამდე არ ვლინდება და ხანგრძლივი ვადის მანძილზე მხოლოდ მცირე დისკომფორტს ქმნის. თუ ყველა სიმპტომი უკვე სახეზეა, ნუთუ ქართული სახელმწიფოს სრულ ჩამოშლას ან აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ საერთაშორისო აღიარებას უნდა დაველოდოთ იმისთვის, რომ დავინახოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე? გარდა ამისა, განა ის, რაც 2012 წლიდან ხდება – ეკონომიკური წინსვლის პროგნოზირებადი შენელება, ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება ან გაუქმება, ლარის სტაბილური დევალვაცია, პენსიებისა და ხელფასების არ მომატება და არსებულის გაუფასურება, კორუფციისა და კრიმინალის დაბრუნება, ჯარისა და პოლიციის ავტორიტეტის და, შესაბამისად, ეფექტურობის დაცემა – მხოლოდ მცირე დისკომფორტია? განა ეს ჩვენ ყოველდღიურად არ გვეხება? განა ეს არ გვასუსტებს? და განა ეს ყველაფერი „ოცნების“ მრწამსის, რიტორიკისა და ქმედებების პირდაპირი და უშუალო შედეგი არ არის?

...წინამდებარე კრებულში მხოლოდ დოკუმენტური, მარტივად გადამოწმებადი, ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი. კრებული არ არის ამომწურავი და ყოვლისმომცველი, თუმცა საკმარის ინფორმაციას შეიცავს, რათა მკითხველს ლეგიტიმური კითხვები გაუჩინოს და ლოგიკური პასუხების ძებნა მოანდომოს. მიგვაჩნია, რომ ამ ბუკლეტში თავმოყრილი ინფორმაციის გააზრება და შეფასება ერთი პატარა ნაბიჯია გზაზე, რომელსაც მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერება და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ჰქვია.

ზაზა ბიბილაშვილი

14 ოქტომბერი, 2018

როგორ ავაშენებდი მშვიდობას კავკასიაში

ბიძინა ივანიშვილი

2 ავგისტო, 2012
Wall Street Journal Europe

8 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ომის 4 წლისთავია, რომელიც დასრულდა რუსეთის მიერ ჩემი სამშობლოს, საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციით. სამწუხაროდ, წლების გასვლასთან ერთად მშვიდობის ალბათობა არ გაზრდილა. დაძაბულობა მატულობს რეგიონში, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს ებრძვის მე-19 საუკუნის ინსტიტუციებით და ეს ყველაფერი ეფუძნება მე-16 საუკუნიდან მომდინარე სიძულვილს.

რატომ უნდა ადარდებდეს ეს ვინმეს რეგიონს გარეთ? კონფლიქტი საფრთხეს უქმნის ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების მზარდ ინტერესებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ჩვენ აღარ ვართ იზოლირებული მთიანი დასახლება. ჩვენი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენ წარმოვადგენთ ერთის მხრივ რუსეთსა და ცენტრალურ აზიას და, მეორეს მხრივ ირანს, თურქეთსა და დასავლეთს შორის განახლებული ურთიერთობის ჰაბს. არსებობს უზარმაზარი ალბათობა იმისა, რომ აქაურმა შედეგმა გავლენა იქონიოს რეგიონის ენერგომომარაგებაზე და სხვა ფაქტორებზე.

რუსეთი აგრძელებს ისტორიული შუღლის გაღვივებას იმისათვის, რომ შეინარჩუნოს არასტაბილურობა

ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. სამწუხაროდ, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ვლადიმერ პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაზარდა ფსონი როდესაც ჩვენი უსაფრთხოების დღის წესრიგი დააფუძნა წარსულის ენაზე – მაგალითად, როდესაც დადო პირობა, რომ დაამსხვრევდა „ახალ ბერლინის კედელს“ საქართველოს და რუსეთს შორის.

საბედნიეროდ, საქართველოს შეუძლია 1 ოქტომბრის ახალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოიყვანოს ახალი მთავრობა. არჩევის შემთხვევაში კოალიცია „ქართული ოცნება“ შეწყვეტს ცივი ომის რიტორიკას და იმუშავებს უკეთესად, რათა განმუხტოს ფეთქებადი სიტუაციის გამომწვევი რეალური მიზეზები რეგიონში.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კონცენტრაციას გავაკეთებთ დემოკრატიაზე. როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა აღნიშნა ჩემს ქვეყანაში ვიზიტის დროს, ივნისში: „საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და განვითარება დიდად არის დამოკიდებული დემოკრატიის ხარისხზე“.

საქართველოს ამჟამად არ ჰყავს ფუნქციონალური სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენ ტვირთად გვაწევს ერთპარტიული ავტორიტარული მოდელი, რომელიც ასეთი დამანგრეველი აღმოჩნდა სხვა პოსტ-საბჭოური საზოგადოებებისათვის. წარსულში, სუსტ და დანაწევრებულ ქართულ ოპოზიციურ მოძრაობებს სასტიკად ავიწროვებდნენ. ამიტომაც მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, დავეხმარე ექვს პარტიას იმაში, რომ ეპოვათ

ძალა „ქართული ოცნების“ ერთიანობაში. ბოლო დროინ-დელი გამოკითხვების თანახმად, ჩვენი კოალიცია ტოლს არ უდებს ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნების წინ. თუ ჩვენ მოგვეცემა თანაბარი შანსი, მჯერა, რომ მოვ-იგებთ. გაიმარჯვებს დემოკრატია.

„ქართული ოცნება“ დასავლეთთან ახლო პარტ-ნიორობის მომხრეა და აცნობიერებს დასავლური ღი-რებულებების მნიშვნელობას. ჩვენი განზრახვაა, გავხ-დეთ ევროპისა და ატლანტიკური ინსტიტუციების შემადგენელი ნაწილი. ჩვენი მიზანია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, რასაც თითქოს ამჟამინდელი ხელისუფლებაც ელტვის. ასევე, ჩვენი ვიმუშავებთ ჩვენს მეგობრებთან ერთად ძლიერი ქართული თავდაცვითი ძალების შესაქმნელად.

მაგრამ მსგავსებები აქ მთავრდება. ჩვენ რეალისტუ-რად აღვიქვამთ საქართველოს შესაძლებლობებს. ჩვენ თავს დავანებებთ იარაღის ჟღარუნს და ვაღიარებთ, რომ საქართველო არის პატარა რეგიონული ძალა ძა-ლიან საშიშ სამეზობლოში. მყარი მომავალი ვერ აშენდ-ება ჩვენი სამხედრო ძალის რუსეთის ან სხვის წინააღმ-დეგ გამოყენებით. თუ ჩვენ გავხდებით კავკასიის კუბა, ჩვენი იმედი, შევუერთდეთ დასავლეთს, სამუდამოდ დასამარდება.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვიქნებით თანმიმდევრუ-ლი და მიზანდასახული. ჩვენ ახალ საფუძველს ჩავუყ-რით მშვიდობას ისეთივე შემართებით, როგორიც ჰქონ-და ამერიკას, როდესაც ბალკანეთში ომი დაასრულა. ისტორიული მტრობის დასრულების გრძელვადიანი მოდელისათვის ჩვენ გამოვიყენებთ სამხრეთ აფრიკის

გამოცდილებას, პოლონეთსა და რუსეთს შორის დიალოგს და, ყველაზე მეტად, თავად ევროკავშირის გამოცდილებას. ჩვენ ასევე შევისწავლით დემოკრატიის შენების გერმანულ გამოცდილებას განვითარების დახმარების საშუალებით.

ჩვენი დიალოგი რუსეთთან იქნება მტკიცე და პრინციპული. კვლავ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი 2008 წლის ომის დაწყებაზე. კონფლიქტი წარმოიშვა ქსენოფობიური და კონფრონტაციული სტილიდან, რომელიც დამახასიათებელია ორივე ხელისუფლებისათვის. თუ შევთანხმდებით, რომ ორივემ დაუშვა შეცდომები, უკვე მიღწეული გვექნება გარკვეული პროგრესისათვის.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ზოგიერთ დამკვირვებელს ურჩევნია სამხედრო დაპირისპირება, რომელსაც ისინი კარგად იცნობენ, ვიდრე ის გაურკვევლობა, რომელიც მოსკოვსა და თბილისს შორის დემოკრატიულ დიალოგთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მინდა დავარწმუნო ჩვენი მეგობრები – ჩვენ არ ვაპირებთ თავდაცვის შეწყვეტას, არამედ მის უფრო ჭკვიანურად გამოყენებას. საბჭოთა კავშირსა და რუსეთში გატარებულმა 20 წელმა მასწავლა ხისტ პოლიტიკასთან ურთიერთობა ცდისა და შეცდომების გზით, ილუზიების გარეშე.

იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენი ახალი „სტილი“ არის ნაწილი რუსული გეგმისა, შეასუსტოს საქართველოს შემართება, მე მივაპყრობ მათ ყურადღებას კონფლიქტებზე მსოფლიოს სხვა კუთხეებში. თავისუფლების იმედის გარეშე, ჩვენ საზოგადოებაში საბოლოო

ჯამში იფეთქებს შიდა კონფლიქტები. ქვაბი უკვე დუღს. კავკასიაში შესაძლოა დაიწყოს სირიის მსგავსი სექტანტური კონფლიქტი. რუსეთისა და ირანის მეზობლობის პირობებში, ეს არ არის რისკი, რომელზე წასვლაც ვინმე ჩვენგანს უნდა უნდოდეს.

ინგლისურიდან თარგმნა **თამარ თევდორაძემ**

სტრიქონებს შორის გაჭონილი აზრები

ზაზა ბიბილაშვილი

8 აგვისტო, 2012
ტაბულა

აგვისტოს WALL STREET JOURNAL EUROPE-ში გამოქვეყნდა ბიძინა ივანიშვილის დოქტრინალური წერილი ოდნავ დამაბნეველი სათაურით „როგორ ავაშენებდი მშვიდობას კავკასიაში“. დამაბნეველით, რადგან წერილში თითქმის არაფერია ნათქვამი კავკასიაზე, გარდა ორიოდე ბუნდოვანი მინიშნებისა რეგიონში ძალადობის შესაძლებლობაზე და გაუგებარი, თუმცა უკვე არაპირველი ანალოგიისა სირიასთან.

ასეთი წერილები ერთი ადამიანის მიერ არ იწერება და უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მომზადებაში არა მხოლოდ ბ-ნი ივანიშვილი, არამედ სრულიად „ქართული ოცნების“ ადგილობრივი და უცხოური ინტელექტუალური რესურსი მონაწილეობდა. ამდენად, აღნიშნული წერილი უნდა მივიჩნიოთ ამ პოლიტიკური ძალის საპროგრამო დოკუმენტად, სადაც მოცემულია მისი ძირითადი საგარეო-პოლიტიკური თეზისები.

ერთი შეხედვით, წერილი წარმოადგენს მცდელობას, გააქარწყლოს ეჭვი, თითქოს „ქართული ოცნება“ სინამდვილეში რუსული პროექტია. მიუხედავად ამისა, წერილის რეალური ეფექტი სწორედ საპირისპიროა, რადგან ერთადერთი პრაქტიკული შედეგი, რაც ამ წერილს შეიძლება მოყვეს, არის რუსული კლიშეებისთვის ლეგიტიმური ელფერის მინიჭება, მათი ქართული წყაროდან გახმოვანების გზით.

რამდენადაც შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ბ-ნი ივანიშვილი ვინმეს დაკვეთით მოქმედებს (ამისთვის ჯერ არავის წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულება), იმდენადვე შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ბ-ნი ივანიშვილის რიტორიკა და შეფასებები – გარდა იმ სავალდებულო ნაწილისა, სადაც ის შეზღუდულია „ქართველი პოლიტიკოსის“ სახელითა და უკვე აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი რეალობით – ტყუპისცალივით გავს კრემლისას. ავტორი თითქმის უცვლელად იმეორებს საქმეში ჩაუხედავი აუდიტორიისთვის განკუთვნილ რუსულ კლიშეებს. წერილის წამკითხავ რუს პოლიტიკოსს უკვე თამამად შეეძლება უთხრას თავის ევროპელ კოლეგებს – „ესეც მე ვარ?“ ხოლო პასუხად, საკუთარი პრობლემებით გადაღლილ ფრანგ თუ გერმანელ ჩინოვნიკს, რომლისთვისაც წერილი იკითხება, როგორც ერთგვარი დაპირება, რომ საქართველოს საკითხის ხშირი და ხმამაღალი შეხსენებით ევროპას რუსეთის წინაშე უხერხულობას მოუხსნის, უკვე სუფთა სინდისით შეეძლება გაამართლოს კავკასიისადმი აპათია. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, მრავალიდან:

რუსული კლიშე №1

ბ-ნი ივანიშვილი აღნიშნავს, რომ „**დაძაბულობა მატულობს რეგიონში, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს ებრძვის 19-ე საუკუნის ინსტიტუციებით და ეს ყველაფერი ეფუძნება მე-16 საუკუნიდან მომდინარე სიძულვილს**“. ის, რომ საქართველო არა პოლიტიკური/სახელმწიფოთაშორისი, არამედ ისტორიულად ფესვგადგმული ეთნიკური კონფლიქტების წინაშე

დგას, არის ოფიციალური რუსული ვერსია, რომლის დანერგვასაც აგერ უკვე ორი ათწლეულია წარუმატებლად ცდილობს ამ ქვეყნის საგარეო უწყება – ვერსია, რომლის გაზიარებაც არა მხოლოდ ეწინააღმდეგება საღ აზრს, არამედ ასამარებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თეორიულ პესრსპექტივასაც კი. ამ ვერსიით, კავკასია არის შუასაუკუნოვან მენტალიტეტში ჩარჩენილი რეგიონია, რომლის გარანტირებულად დაშოშმინება მხოლოდ რუსეთს ძალუძს, ცივილიზებული სამყაროს „შეუწუხებლად". აქამდე ამ იდეას მხოლოდ რუსეთი ავითარებდა. განა უფრო ეფექტური არაა, თუ ეს „ხედვა" ახლა უკვე ქართული წყაროდან გაიჟღერებს?

რუსული კლიშე №2

„არჩევის შემთხვევაში, კოალიცია „ქართული ოცნება" შეწყვეტს ცივი ომის რიტორიკას და იმუშავებს უკეთესად, რათა განმუხტოს ფეთქებადი სიტუაციის გამომწვევი რეალური მიზეზები რეგიონში". სამწუხაროდ, ბ-ნი ივანიშვილი გვერდს უვლის ამ საკვანძო საკითხს და არ განმარტავს, თუ რა არის რეგიონში ფეთქებადი სიტუაციის „რეალური მიზეზები". ნუთუ მხოლოდ რიტორიკა და „სტილი" (თანაც, ორმხრივი!), რაზეც იგი შემდგომ საუბრობს? ვინაიდან ამ ტექსტს ოპოზიციონერი ქართველი პოლიტიკოსი წერს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ფეთქებადი სიტუაციის გამომწვევი რეალური მიზეზების განმუხტვა" საქართველოს რეალურად ხელეწიფება, თუმცა ის ამას არ აკეთებს. ესეც რუსული კლიშე №2: კონფლიქტი არ იარსებებდა, საქართველო რომ „ჭკვიანად" იქცეოდეს.

რუსული კლიშე №3

„ჩვენ თავს დავანებებთ იარაღის ჟღარუნს (saber-rattling) და ვაღიარებთ, რომ საქართველო არის პატარა რეგიონული ძალა ძალიან საშიშ სამეზობლოში. მყარი მომავალი ვერ აშენდება ჩვენი სამხედრო ძალის რუსეთის ან სხვის წინააღმდეგ გამოყენებით.“ ამის წამკითხველი აუცილებლად იფიქრებს, რომ აქამდე სწორედ ასე ხდებოდა და საქართველო თავის „სამხედრო ძალას“ რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა, ან იმუქრებოდა ძალის გამოყენებით. ...გეცნობათ?

უცნაურია, მაგრამ ამგვარი შემრიგებლურ-პაციფისტური რიტორიკის ფონზე უკვე მერამდენედ ხდება პედალირება შიდა ძალადობის თემისა და ძალადობის, როგორც ერთ-ერთი შესაძლო სცენარის, დაშვება. “Without hope for freedom and liberty, our society will eventually explode with internal strife.“ ანუ, ავტორის აზრით, ამჟამად საქართველოში არამხოლოდ არაა თავისუფლება, არამედ თავისუფლების იმედიც კი. ავტორი თითქოს ამზადებს მკითხველს – არეულობა, რომელიც ზოგიერთის აზრით ბ-ნი ივანიშვილის ერთ-ერთი შესაძლო მიზანია, მოქალაქეებისთვის თავისუფლების წართმევით იქნება გამოწვეული და შეიძლება სპონტანურად დაიწყოს.

რუსული კლიშე №4

„თუ ჩვენ გავხდებით კავკასიის კუბა, ჩვენი იმედი, რომ შევუერთდეთ დასავლეთს, სამუდამოდ დასამარდება.“ კუბის როლი ცივი ომის პირობებში ყველასათვის ცნობილია. რამდენად ადეკვატურია ამგვარი ანალოგია 21-ე საუკუნის რეალობაში, რომლის გამოწვევებზე საუბრითაც ხსნის თავის წერილს ბ-ნი ივანიშვი-

ლი? ვინ შეიძლება აღიქვას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები კავკასიის კუბად ქცევის მცდელობად, გარდა მართლაც მე-19 საუკუნის მენტალიტეტში ჩარჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა? რამდენად დამაჯერებელია, რომ ასეთი შედარება თავში მოუვიდეს თანამედროვე პოსტულატებით მოაზროვნე და ევროპის გამაოცებელი დემოკრატიის შექმნის მგეგმავ ქართველ პოლიტიკოსს?

ფრაგმენტი იმავე სიმღერიდან: „**ზოგიერთ დამკვირველს საქართველოს გარეთ ურჩევნია სამხედრო დაპირისპირება, რომელსაც ისინი იცნობენ, იმ გაურკვევლობას, რომელიც მოსკოვსა და თბილისს შორის დემოკრატიულ დიალოგთან შეიძლება იყოს დაკავშირებული**“. ბ-ნი ივანიშვილის მიხედვით გამოდის, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის დემოკრატიული დიალოგი შესაძლებელი ყოფილა, თუმცა ამას ხელს უცხოეთში ჩასაფრებული ზოგიერთი დამკვირვებელი უშლის. მესიჯი ნათელია – „დატოვეთ საქართველო და რუსეთი მარტო და ისინი თვითონ მიხედავენ თავიანთ საქმეს“. ერთია, როცა ამას რომელიმე ოდიოზური რუსი პოლიტიკოსი ამბობს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ასეთ იდეას გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსი აჟღერებს. ეგებ ბ-ნმა ივანიშვილმა დაასახელოს თუნდაც ერთი მაგალითი რუსეთსა და მის წინაშე მარტო დარჩენილი რომელიმე პატარა მეზობელს შორის წარმატებული დემოკრატიული დიალოგისა? ...სამწუხაროა, რომ არ არსებობს მოკლე შესავალი კურსი მსოფლიო ისტორიაში პოლიტიკაში წასვლის მსურველთათვის!

რუსული კლიშე №5

„კონფლიქტი წარმოიშვა ქსენოფობიური და კონ-ფრონტაციული სტილიდან, რომელიც დამახასიათებ-ლია ორივე ხელისუფლებისთვის. თუ შევთანხმდებით, რომ ორივემ დაუშვა შეცდომები, უკვე მიღწეული გვე-ქნება გარკვეული პროგრესისთვის“. ეს კომიკურობამდე მიამიტი, ფაქტებისა და ისტორიის არცოდნაზე დაფუძ-ნებული მიგნება შეიძლება უკომენტაროდაც დაგვეტო-ვებინა, მაგრამ კითხვის დასმის ცდუნება მაინც დიდია – ეგებ ბ-ნმა ივანიშვილმა განმარტოს, თუ რატომ არ იცვლება რუსეთის კურსი და დამოკიდებულება საქარ-თველოს მიმართ საქართველოს ხელისუფლების რიტო-რიკისა და სტილის მიუხედავად? რითი აიხსნება ცა-რისტული, ბოლშევიკური და პოსტ-საბჭოთა რუსეთის იდენტური დამოკიდებულება ერთმანეთისგან კარდი-ნალურად განსხვავებული ქართული ხელისუფლებების მიმართ? რუსეთმა ხომ ისევე არ დაინდო საქართ-ველო რიტორიკით, სტილითა და ქმედებებით ლოია-ლური „მენშევიკებისა“ და შევარდნაძის მმართველობის დროს, როგორც გამსახურდიასა და სააკაშვილის პირო-ბებში? თუ კონფლიქტის არსებობა მხოლოდ „სტილის“ ბრალია, რომელია ის სტილი, რომელიც მისაღები იქნე-ბა რუსეთისთვის და არ დააზარალებს საქართველოს?

ძნელი დასაჯერებელია, სერიოზული პოლიტიკოსი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას რიტორიკისა და სტილის შეცვლის ხარჯზე სთავაზობდეს საშუალოდ ინფორმირებულ აუდიტორიასაც კი... მაგრამ მივყვეთ ამ ლოგიკას და დავუშვათ, რომ საქართველოს ხელი-სუფლებამ შეცვალა რიტორიკა. რა ინტერესი ექნება რუსეთს საპასუხო ნაბიჯების გადასადგმელად? რა

მოხდება მაშინ, თუ რუსეთის ხელისუფლება არაფერს შეცვლის (რისი ალბათობაც მაღალია, რადგან რუსეთი სხვანაირად არასდროს მოქცეულა და არანაირი წინაპირობა არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ახლა მოიქცევა)? რა იქნება ივანიშვილის შემდეგი ნაბიჯი? რას შესთავაზებს ის რუსეთს რიტორიკის შეცვლის სანაცვლოდ და რეალურად რის ხარჯზე აპირებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას „ქართული ოცნება"?!

„იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენი ახალი სტილი (ოხ, ეს „სტილი"!) არის ნაწილი რუსული გეგმისა, შეასუსტოს საქართველოს შემართება, მე მივაპყრობ მათ ყურადღებას კონფლიქტებზე მსოფლიოს სხვა კუთხეებში." ამ წინადადების წაკითხვისას, რჩება შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს ტექსტის კორექტურაში გაპარულ შეცდომასთან, რადგან ძნელია ამ წინადადებიდან აზრი გამოვიტანოთ და გავარკვიოთ, თუ რანაირად პასუხობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე კონფლიქტებზე ყურადღების გადატანა ბ-ნი ივანიშვილის მიერვე დასმულ კითხვას. თუმცა, ამ კუთხით, ეს წინადადება სხვებისგან არ გამოირჩევა. ავიღოთ თუნდაც ეს – **„ისტორიული მტრობის გადასაწყვეტად, ჩვენ გამოვიყენებთ სამხრეთ აფრიკის მაგალითს, დიალოგს პოლონეთსა და რუსეთს შორის და, ყველაზე მეტად, თავად ევროკავშირის გამოცდილებას. ჩვენ ასევე განვიხილავთ გერმანიის გამოცდილებას დემოკრატიის მშენებლობის სფეროში, განვითარების დახმარების მეშვეობით".** რა შუაშია სამხრეთ აფრიკის გამოცდილება ქართულ-რუსული კონფლიქტის კონტექსტში? გასაგები იქნებოდა, აქ რომ 1992 წლამდე აფხაზეთში მოქმედ აპარტეიდზე იყოს საუბარი, თუმცა კონტექსტი ამის

საშუალებას არ გვაძლევს. ან რომელ რუსულ-პოლონურ დიალოგზეა საუბარი? ნუ ვახსენებთ პირველ და მეორე კატინს, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ პოლონეთმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო რუსეთთან დიალოგის წარმართვა, რაც ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდა. ასევე გაუგებარია, რა შუაშია გერმანული მაგალითი, ან კონკრეტულად რომელ მაგალითს გულისხმობს ბატონი ივანიშვილი...

დასკვნის მაგიერ

ბ-ნი ივანიშვილის წერილიდან შევიტყვეთ, რომ რეალურ პრობლემას ის შუასაუკუნეებიდან მომავალ ეთნიკურ შუღლში ხედავს, ხოლო რუსეთთან არსებული კონფლიქტის მოგვარებას რიტორიკის შერბილებითა და სტილის შეცვლით აპირებს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, შეგვიძლია შემაჯამებელი კითხვა ასე ჩამოვაყალიბოთ –

ბატონი ივანიშვილი არის:

(ა) გულწრფელი, მაგრამ მიამიტი;

(ბ) პოლიტიკურად გამოუცდელი;

(გ) „ა“ და „ბ“ ერთად;

(დ) ნებით თუ უნებლიეთ რუსული პოლიტიკის გამტარებელი.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, იმედს ვიტოვებ, რომ სწორი პასუხი არის „გ“, რაც ტოვებს შანსს იმისა, რომ რელევანტურ საკითხებში უკეთ გარკვევის შემდგომ, ბ-ნი ივანიშვილი შეიცვლის პოზიციას ამ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო, თემასთან მიმართებაში. და თუ ეს ასე მოხდა, დაე, მიმდინარე სოციალურ-ეკონომი-

კური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური საკითხები (ჭორ-ვილას მოდელი ჯობია თუ სინგაპურისა, შუშის ხიდი უფრო ლამაზია თუ შუშის სასახლე და ა. შ.) რუტი-ნული დემოკრატიული პროცესის ფარგლებში არკვიონ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა...

მხოლოდ ფაქტები

1. „ოცნების პროტესული რიტორიკა“[1]

„ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ ამ [ევრაზიული კავშირის] საკითხს. ჯერჯერობით, არანაირი პოზიცია არ გვაქვს, მაგრამ თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის იქნება კარგი, რატომაც არა“.

ბიძინა ივანიშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
4 სექტემბერი, 2013.

„როდესაც სწავლობ და უყურებ, მაშინ შეხვალ შენ თუ გინდა იქ [ევრაზიულ კავშირში], როდესაც ხედავ, რომ საეჭვო აღარაა და შენი ქვეყნისათვის ეს საინტერესო და სასარგებლოა...“

ბიძინა ივანიშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
7 სექტემბერი, 2013.

„რუსეთის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის არ აპირებს სახელმწიფოთა თვითგამორკვევის პროცესში ჩარევას. მე ეს განცხადება დ ამაიმედებლად მომეჩვენა“.

ბიძინა ივანიშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
24 დეკემბერი, 2013.

---

[1] მასალები არ არის დალაგებული ქრონოლოგიური ან სხვა კონკრეტული რიგითობის მიხედვით.

„არსებული რკინიგზა გაცილებით უფრო დიდია, ახლა 180-კილომეტრიანი რკინიგზა შენდება, რომელსაც ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას ვეძახით. არსებული რკინიგზა, თუ სოჩამდე გავითვალისწინებთ, 600 კილომეტრამდეა, შეიძლება ცოტა მეტიც. მისი საპროექტო სიმძლავრე, გამტარიანობა 25 მილიონ ტონამდეა, პატარა გარდაქმნების საშუალებითაც შეიძლება 40 მილიონ ტონამდე გაიზარდოს“.

***ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი. 24 დეკემბერი 2012.*

***შენიშვნა:** „არსებული“ რკინიგზა გაჩერებულია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის გამო. რუსეთი დიდი ხანია ითხოვს მის გახსნას. ასევე საგულისხმოა, რომ ივანიშვილი იყენებს ქალაქ სოჭის რუსულ სახელწოდებას – „სოჩა“.*

„ვფიქრობ, ამის კარგი მაგალითი სომხეთია. სომხეთი ქართველებს კარგ მაგალითს აძლევს და მხოლოდ თეთრ შურს იწვევს. სომხეთს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ასევე აშშ-სთან და NATO-სთან. შესაბამისად, ეს ყველაფერი შესაძლებელია“.

***ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი. 17 იანვარი, 2013.*

„საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ რუსებს არ უნდა ვუკიჟინოთ, რომ ისინი ოკუპანტები არიან“.

***ბიძინა ივანიშვილი**, „ოცნების“ ლიდერი. 2012.*

„უამრავი უმეცრება შეიძლება დავინახოთ. დაწყებული ტანკების შესყიდვიდან, შემდეგ იმ ავანტურაში ჩართვით, როგორც დაიწყეს ომი“.

***ბიძინა ივანიშვილი**, ოპოზიციური პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი, მისი წინამორბედი ხელისუფლების შესახებ. 19 მაისი, 2012.*

„სააკაშვილმა გააკეთა, თავისი ემოციურობით, როდესაც სრულიად გააფუჭა ურთიერთობა რუსეთთან“.

***ბიძინა ივანიშვილი**, ოპოზიციური პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი. 19 მაისი 2012.*

„მე არა მგონია და ვერ ვიჯერებ, რომ რუსეთის სტრატეგია არის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობა და ოკუპაცია. მე ამის არ მჯერა“.

***ბიძინა ივანიშვილი**. 16 ოქტომბერი, 2014.*

„გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ საჯარისო ნაწილები მზადყოფნაში მოვიდა და დაიწყეს საომარი მოქმედებები მანამ, სანამ რუსეთმა გადმოლახა საზღვრები“.

***ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი. 10 აპრილი, 2013.*

აღსანიშნავია, რომ რუსული სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყებამდე შემოსვლა დადასტურებულია არაერთი წყაროს მიერ, მათ შორის, ტალიავინის დასკვნით.

„როგორ დაიწყო ყველაფერი – რაღაც გაუგებარი ბანდ-ფორმირებები ისროდნენ სამი დღის განმავლობაში ქარ-თული სოფლების მიმართულებით. არავინ ჯერ არ იყო მოკლული, მხოლოდ ერთ სახლში შევარდა ნამსხვრევი. მას მერე სამი დღე ტელევიზიით აჩვენებდნენ. აუცილე-ბელი იყო ამ სოფლების მოსახლეობის ევაკუაცია, ევ-როპიდან დამკვირვებელთა გამოძახება – შესაძლოა ამით ყველაფერი დამთავრებულიყო. მან კი რა გააკეთა? შეიყვანა ტანკები, ჰაერში ააფრინა თვითმფრინავები, რის შემდეგაც საქართველოში რუსეთის რეგულარული ნაწილები შემოვიდა. სააკაშვილს არ უნდა ეპასუხა“.

ბიძინა ივანიშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
16 სექტემბერი, 2013.

„მე წინააღმდეგი ვიყავი ე. წ. „ზალოგოვი აუქციონების“ სადაც ხოდორკოვსკიმ აბსოლუტურად უკანონო გზით შეიძინა იუკოსი. არ შეიძლება კანონის დაცვა სხვას მოვთხოვოთ თუ თვითონ ვარღვევთ, სხვას მაშინ უნდა მოსთხოვო, როცა საკუთარ თავში გაქვს ყველაფერი ჩასწორებული. აუქციონზე მე ვიყავი ერთ-ერთი კონ-კურენტი – იუკოსის შეძენას არ ვაპირებდი უკანონობა მინდოდა ჩამეშალა, მაგრამ არ გამომივიდა. აქ დაიწყო პირველი უკანონობა და მერე კონკრეტულ სიტუაციაში შერჩევით რომ დაისაჯა ხოდორკოვსკი, ამ აზრს მეც ვიზიარებ. მარტო მის დაპატიმრებას რომ აშუქებენ მთელ მსოფლიოში არ ვეთანხმები. ჩემი ოპონენტები ალ-ბათ გამომედავებიან ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს ეს არ უნდა შეახსენოო, მაგრამ რა ვქნათ, წავშალოთ წარსული და შუიდან დავიწყოთ? მოვლენა მთლიანობაში უნდა განვიხილოთ, იმ ნაწილს ვეთანხმები, სადაც ცივი-

ლიზებული სამყარო ამბობს, რომ ხოდორკოვსკი შერჩევით დასაჯეს. მაგრამ მაინც მგონია, რომ კომპლექსურად უნდა განვიხილოთ ყველაფერი“.

ბიძინა ივანიშვილი, *„ოცნების“ ლიდერი.*
8 ნოემბერი, 2011.

„ვფიქრობ, სერიოზული სტრატეგიული შეცდომაა ტალიავინის კომისიის დასკვნის იგნორირება, ანუ აფხაზური და ოსური მხარეების კონფლიქტის მხარეებად არაღიარება. შესაბამისად, ჩვენი ხელისუფლება მათთან მოლაპარაკებას უსაფრთხოების გარანტიებზე არ აპირებს. მხედველობაში მაქვს მოლაპარაკება მხარეებთან და არა – საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან“.

ბიძინა ივანიშვილი. *21 ნოემბერი, 2013.*

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოვახერხოთ და დავალაგოთ ჩვენს ყველაზე დიდ მეზობელთან ურთიერთობები იმის გათვალისწინებით, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობს ძალიან დიდი ისტორია – ჩვენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდით ერთად საბჭოთა კავშირამდე, მერე საბჭოთა კავშირის ჩათვლით, იმის შემდგომ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩვენ დღეს უნდა მოვახერხოთ და ახალ ხარისხში ავიყვანოთ, ჯერ დავარეგულიროთ და შემდეგ ავიყვანოთ ახალ ხარისხში ორი ქვეყნის ურთიერთობები“.

ბიძინა ივანიშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
1 ნოემბერი, 2012.

„ჩვენ აუცილებლად უნდა დავალაგოთ და გავაღრმავოთ რუსეთთან ურთიერთობები. ყველაზე დიდი ჩვენი მეზობელი... მთელი მსოფლიო იღწვის რუსული ბაზრისთვის, სანამ ომს მოგვიხერხებდნენ, მანამ ცივი ომი ჰქონდათ და დაკეტეს რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, თუ გახსოვთ. ეს მოახერხეს მათ და ქართველები ტვირთავდნენ და იმით გამოჰყავდათ, ვაგონებით, ეს გააკეთეს [ენმ-ის ხელისუფლებამ], ისეთი ისტერიული ფონი შექმნეს სახელმწიფოთა ურთიერთობებს შორის. და ეს ფონი შექმნეს ამათმა [ენმ-ის ხელისუფლებამ], ამ გაუაზრებელმა ხალხმა და მოხდა ისე, რომ მანამდე, სანამ ომს დაიწყებდნენ, დაკეტეს, რეალურად სავაჭრო ურთიერთობები შეწყვიტეს... არა ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე, არა იმაზე, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, ჩვენ ეს უნდა აღვადგინოთ [ტერიტორიული მთლიანობა], არა ამის ხარჯზე, მაგრამ ჩვენ ყველანაირად უნდა გავაღრმავოთ ჩვენს ყველაზე დიდ მეზობელთან ურთიერთობები და პირველ რიგში, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები“.

ბიძინა ივანიშვილი. *15 სექტემბერი, 2016.*

„ნატო არის აგრესიული სამხედრო ბლოკი. არ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა რომელიმე სამხედრო ბლოკში იყოს, იმიტომ რომ კონტურები მესამე ბირთვული ომის უკვე ცხადდება. ევროკავშირი არ არის სამხედრო ბლოკი, არც ევრაზიული კავშირი. ევრაზიული კავშირი ერთ-ერთი შესაძლებლობაა, სადაც უფრო კარგად ვიქნებით. რუსი რომ აგრესორია და რუსეთმა, რომ ტერიტორიები წაგვართვა, ეს ვიცით. რუსი ავადმყოფია, მაგრამ რუსოფობია რას მოგვიტანს“.

გოგი თოფაძე, *საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატი. 19 მარტი, 2015.*

„NATO-ში შესვლას ამ მოცემულობით მხარს არ ვუჭერ იმიტომ, რომ დღევანდელი მოცემულობით არავინ მიგვიღებს ამ პრობლემებიანად, თუ უარს არ ვიტყვით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანუ სამაჩაბლოს დაბრუნებაზე“.

***თამაზ მეჭიაური**, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატი. 19 მაისი, 2016.*

„ნატოს ივანიშვილის ხათრითაც არ დავუჭერ მხარს“.

***თამაზ მეჭიაური**, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატი. 26 მაისი, 2016.*

„რაც შეეხება პრეზიდენტის დაკითხვას, თუ საქმის გარემოებები ამას მოითხოვს მოცემულ დროს, დაიკითხება პრეზიდენტიც, თუმცა შესაძლოა იმ დროისთვის უკვე პრეზიდენტი აღარც იყოს და ბევრი მაღალჩინოსანიც, რომელი ქვეყნის და ეთნიკური წარმოშობისაც არ უნდა იყვნენ ისინი, რომელთა სახელი, სამწუხაროდ, უხერხულად შეიძლება ფიგურირებდეს აგვისტოს ომში“.

*იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანის** მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის შესახებ რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. 15 აპრილი, 2013.*

„ვფიქრობ, საქართველოს მხრიდან ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნით დიდი მსხვერპლია გაღებული. დიდია გარდაცვლილთა რაოდენობა. ბუნებრივია, ამ საკითხს უნდა შევხედოთ კომპლექსურად. ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო, მთავრობა და პარლამენტი უნდა დაფიქრდეს, რამდენად გამართლებულია ამ კონტინგენტის ყოფნა“.

***ეკა ბესელია**, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატი. 16 მაისი, 2013.*

„პუტინი მტერი? რას ნიშნავს? პუტინი ადამიანია და როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს სახელმწიფოს მტერი? ადამიანი ვერ იქნება სახელმწიფოს მტერი, გინდა პუტინი იყოს და ვინც გინდა ის იყოს. მტერი შეიძლება იყოს სახელმწიფო“.

***პაატა ზაქარეიშვილი**, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.*
26 დეკემბერი, 2014.

აღსანიშნავია, რომ რეინტეგრაციის სამინისტროთვის სახელის გადარქმევა პრინციპული საკითხი იყო რუსეთის ფედერაციისთვის. „რეინტეგრაცია“ კონფლიქტის გარე წყაროებზე მიუთითებდა, „შერიგება“ კი აქცენტს საკითხის ეთნიკურ, შიდასახელმწიფოებრივ კუთხეზე აკეთებს. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა და მალევე განხორციელდა.

„გასაკვირია ერთი ფაქტი: მე რამდენიმე დღის წინ ვიყავი კიევში ჩასული ჩემს პირად საქმეზე, არაოფიციალური ვიზიტით და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ქვეყანაში ყველაფერი ნორმალურად არის, თვითონ კიევშიც, ყველაფერი სტაბილურად – რესტორნები, ბარები, ადამიანები ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ – არის ერთი ქუჩა, გრუშევსკის ქუჩა, სადაც ხდება ეს შეტაკება და მეორე ცენტრალური ქუჩა, სადაც აქვთ კარვები გაშლილი. ანუ გრუშევსკის ქუჩას არ სცდება პოლიტიკური კრიზისი“.

***კახა კალაძე**, ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კიევში მიმდინარე ევრომაიდნის პროტესტთან დაკავშირებით, რომელიც იანუკოვიჩის პრორუსული რეჟიმის შეცვლით დასრულდა. 29 იანვარი, 2014.*

„მზად ვართ ასევე, პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზებთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც“.

გიორგი კვირიკაშვილი, *საქართველოს პრემიერ მინისტრი. 9 მარტი, 2018. აღნიშნული წერილობითი განცხადება გაკეთდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საპასუხოდ.*

„რკინიგზით აფხაზეთის რეინტეგრაციის თემა უნდა დავიწყოთ“.

გია ხუხაშვილი, *ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული გავლენიანი პირი. გაზაფხული 2013.*

„აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ“.

მამუკა არეშიძე, *„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი გარდაბნის მუნიციპალიტეტში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. 22 ივნისი, 2011.*

„მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის 2008 წლის ომის გამომწვევ მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა. მზად ვართ გავაგრძელოთ არჩეული პრაგმატუ-

ლი კურსი რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის მხრიდანაც ველით ანალოგიურ მიდგომას.“

***ირაკლი ღარიბაშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
17 დეკემბერი, 2015.

„პირადად ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის პოზიცია არის შემდეგი, მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, საქართველო მიუერთდეს რუსეთის მიერ წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ჩვენ ეს პოზიცია გვქონდა გასულ წელს და გვაქვს იგივე პოზიცია ახლაც“.

***ირაკლი ღარიბაშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
6 აგვისტო, 2015.

„ფორმულა სწორია, მაგრამ მისი ამუშავება შესაძლებელია შერიგების პროცესში მოსკოვის დაინტერესებისა და პატიოსანი თანამონაწილეობის შემთხვევაში. საქართველო მზადაა პირდაპირი დიალოგისთვის აფხაზებთან და ოსებთან, პრაქტიკული და ჰუმანიტარული საკითხების განხილვისთვის. ჩვენს შორის ნდობის აღდგენამდე, სტატუსის განსაზღვრის თემა, შეგვიძლია, საერთოდ გადავდოთ ცალკე“.

***ირაკლი ღარიბაშვილი**, საქართველოს პრემიერ მინისტრი.*
29 იანვარი, 2014.

„[ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრების გადალახვა რუსეთის მხრიდან] არ უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული, ეს უნდა იყოს ადმინისტრაციული დანაშაული. უნდა გადაიხადოს ჯარიმა. როგორც კი იხდის ჯარიმას, ის აღიარებს საქართველოს ტეროტორიულ მთლიანობას, აღიარებს კანონს. რად გვინდა, ადამიანი

ერთი-ორი წლით ციხეში გვყავდეს ჩასმული. არაფერს გვაძლევს ეს, გარდა იმისა, რომ ვაჭმევთ და ვასმევთ“.

***პაატა ზაქარეიშვილი**, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი. 17 მარტი, 2016.*

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩამოაყალიბა, ჩვენი აზრით, მცდარი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ერთადერთ გამართლებულ მოქმედებად მიიჩნეოდა აგრესიული რიტორიკით შეფუთული უმოქმედობა ან ავანტიურიზმი. არსებული მძიმე ვითარება მნიშვნელოვანწილად ამ „პოლიტიკის“ შედეგიცაა“.

***გია ჟორჟოლიანი**, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი. 13 მარტი, 2018.*

„ამ სისხლზე [არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა], რომელიც ახლა კიდევ დაიღვარა, თავიდან ბოლომდე პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს, ნაციონალურ მოძრაობას ეკისრება, რომელმაც მოსახლეობასთან კითხვის დასმაც და ინფორმაციის მიწოდებაც არ იკადრა, ისე შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, მიაკუთვნა ახალგორი, რომელიც მცხეთა-მთიანეთს ეკუთვნოდა“.

***არჩილ თინიკაშვილი**, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი. 24 თებერვალი, 2018.*

„მსურს, მადლობა გადაგიხადოთ თქვენც, თქვენს რედაქციასაც და თქვენს ჟურნალისტურ ჯგუფსაც იმ პრინციპული პოზიციებისათვის, რომელიც ბოლო წლებში აშკარად გამოხატულია „ასავალ-დასავალის“ ფურცლე-

ბზე! შეიძლება, რამდენიმე გაზეთი ვერც დავასახელო, რომელიც მსგავსი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოზიციებითა და პრინციპულობით გამოირჩევა“.

***ბიძინა ივანიშვილი**, ოპოზიციური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლიდერი. 6 თებერვალი, 2012.*

[პრორუსული ძალები მმართველ გუნდში] არიან, მაგრამ, საბედნიეროდ, გადაწყვეტილების მიმღებ პროცესზე არ მოქმედებენ. ერთია, როცა პროპაგანდა გარედანაა ინ-სპირირებული და მეორე, როცა თვლიან და ქვეყანაში ცდილობენ იმ აზრის დამკვიდრებას, რომ საქართველოს პროდასავლური კურსი რეალურად შედეგის მომტანი არაა“.

*აშშ-ში საქართველოს ელჩის, **არჩილ გეგეშიძის** ინტერვიუ. 6 ივლისი, 2016.*

„ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მთავრობა – პასუხისმგე-ბლიანი ჩვენი ხალხის წინაშე. ჩვენ უპასუხისმგებლოდ არ მოვიქცევით. ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებ-ულია, რუსული ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიაზე, არის ურთულესი ვითარება რეგიონში, უკრაინა ცეცხლის ალ-შია გახვეული და თქვენს ფავორიტ სააკაშვილს ერთად-ერთი საზრუნავი აქვს – მოხდეს საქართველოში კონ-ფლიქტი, არეულობა და საქართველო კიდევ ერთხელ შევიდეს შეირაღებულ დაპირისპირებაში რუსეთთან. აი ეს არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის მტრობა, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. მე ვარ მთავრობის მეთაური და უნდა გავაკეთო განცხადება, რომელიც იქნება სიკეთის მომ-ტანი ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის და არა ის, რაც ქვეყანას დააზიანებს. ამ განცხადებით გინდათ გასია-

მოვნოთ თქვენ და „ნაციონალური მოძრაობის“ 20-კაციანი სექტა. მე ამას არ დავუშვებ, რადგან პასუხისმგებლობა მაქვს ხალხის და ქვეყნის წინაშე“.

საქართველოს პრემიერ მინისტრის,
ირაკლი ღარიბაშვილის *პასუხი კითხვაზე არის*
თუ არა პუტინი საქართველოს მტერი. 24 დეკემბერი, 2014.

„გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი მოწოდებები არის უპასუხისმგებლო და ემსახურება საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას. თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აყვეს პროვოკაციას და სხვადასხვა შემოთავაზების სანაცვლოდ არ ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს *განცხადება*
უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლის,
ალექსანდრე გრიგოლაშვილის შესახებ. 20 თებერვალი, 2014.

„მე ვთვლი, რომ ნინო ბურჯანაძემ ამ განცხადებით დაამტკიცა, რომ ის აზროვნებს სახელმწიფოებრივად. ის არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსი. და იმის შემდგომ კითხვები, რომელიც... ბევრი კითხვები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა ნინო ბურჯანაძის მისამარ-

თით, ძალიან ბევრ კითხვას პასუხი გაეცა დღევანდელი მისი პოზიციით“.

ბიძინა ივანიშვილი, *„ოცნების“ ლიდერი.*
12 აგვისტო, 2012

„მესამე ძალის სურვილი გამაჩნია და არ ვმალავ. არ დაგიმალავთ, ქალბატონ სალომესთანაც, თუ გნებავთ, ქალბატონ ირმა ინაშვილთანაც მქონდა შეხვედრა და ჩემი სურვილი მასაც გადავეცი, რომ მათ აქვთ პარტია, და კარგი იქნება თუ განავითარებენ. ხო, და გააქტიურდნენ მე მგონი. ქალბატონ ნინოსაც ბურჯანაძესაც შევუთვალე, რომ კარგი იქნება თუ გააქტიურდება და თავის პარტიას გააძლიერებს და გააააქტიურებს. ეს კონკრეტული ისეთი არაფერი არაა, ეს ურთიერთობების შედეგია რასაც მე გეუბნებით, რომ ჩემი პოზიცია არის შეიქმნას... იოლი არაა, კარგად მესმის, მაგრამ გამარტივდება. მე ვფიქრობ, რომ ისევ არ დამადანაშაულონ, რომ მე მოწოდებები მაქვს ნაციონალური მოძრაობის განადგურებისათვის. ეს ვკითხე სხვათაშორის სააკაშვილს მიშას რომ შევხვდი. არ გრცხვენია მეთქი, ასეთ განცხადებებს რომ აკეთებ? სად გინახავს მე რომ მოწოდება გამიკეთებია? ნუ აერიდა ახლა როგორღაც. რომ მოწოდება გამიკეთებია, რომ ნაციონალური მოძრაობის... პრემიერმა ხომ გახსოვთ, განცხადება რომ გააკეთა, რომ როგორც იქნა შეცვალა რიტორიკა და აღარ მოუწოდებს, აღარ აქვს მოწოდება ნაციონალური მოძრაობის განადგურების. ღმერთმა დამიფაროს ნებისმიერი განადგურებისგან. მე არ ვარ ისეთი ტიპის ადამიანი და არასდროს არავითარი მოწოდება არ გამიკეთებია და არც გულში არა მაქვს, მაგრამ თვითონ

ახერხებენ ამას ჩემი აზრით. თვითონვე ახერხებენ. თვითონვე სააკაშვილი პირველ რიგში. და ნაციონალური მოძრაობის წევრები ახერხებენ იმას, რომ ძალიან ცუდი პერსპექტივა უჩანს ნაციონალურ მოძრაობას და მე არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში იმიტომ რომ მათ რეალურად დაკარგონ ის პოზიცია და ამას თვითონ ახერხებენ მხოლოდ საკუთარი გამონათქვამებით და საკუთარი ქცევებით, გაიოლდეს ახალი პარტიების გაცოცხლება თუ გაღვიძება. და იქნებ ეს მოხდეს და ძალიან დიდი სურვილია ჩემი. არ არის ჩემი სურვილი, რომ ნაციონალური მოძრაობა განადგურდეს არცერთ შემთხვევაში. სურვილია ჩემი, რომ ახალი ძალა, მესამე ძალა გაჩნდეს და არც დაგიმალეთ, შიდა სამზარეულო გამოვიტანე და მოგახსენეთ, რომ კარგი იქნება, და მე მქონდა შეხვედრებიც და საუბარიც ქალბატონ სალომესთანაც, ირმა ინაშვილიც კი დაგისახელეთ, და შეგახსენებთ, რომ ბურჯანაძესთანაც მქონდა მსგავსი რამ“.

***ბიძინა ივანიშვილი**. საქართველოს პრემიერ მინისტრი. 4 აპრილი, 2013.*

***შენიშვნა:** ინაშვილი და ბურჯანაძე ცნობილი არიან თავიანთი პრორუსული და ანტიდასავლური პოზიციით. 2008 წლის ომის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე ეწვია ვლადიმირ პუტინს მოსკოვში. ის სტაბილურად იზიარებს ომისდროინდელი მოვლენების რუსულ ვერსიას.*

2. რუსეთის ჯაშუშების გათავისუფლება „პოლიტპატიმრის“ სტატუსით

ყინწვისის საქმე

2011 წლის 26 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტში ყინწვისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა 24 კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება დააკავა. დაკავებისას ამოღებულ იქნა დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა. ჯგუფი მიზნად ისახავდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას და პრორუსული რეჟიმის დამყარებას. ამ ჯგუფში შემავალ შემდეგ პირებს „ოცნების“ მიერ კონტროლირებულმა პარლამენტმა მიენიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი:

კეშელავა ოლეგი, გოგუაძე ნიკოლოზი, ჩარკვიანი ვარლამი, სისაური მახარე, ცილიკიშვილი მიხეილი, მაისურაძე მიხეილი, გვიმრაძე ზაზა, აღაჯანაშვილი გიორგი, ბეროშვილი გიორგი, გურული ბორისი, თოდაძე კახაბერი, ცამბაია თეიმურაზი, ჩიტრეკაშვილი დავითი, ჩიტრეკაშვილი ზურაბი, გუნდიაშვილი ჯემალი, შუკაკიძე დავითი, ბესელია მამუკა, გელაშვილი ზურაბი, თუთარაშვილი დავითი, ჩიგოგიძე ბადრი, ჩიგოგიძე ბაქარ, ჭარბაძე ირაკლი, ღვალაძე რამაზი, სურამელაშვილი ჯემალი.

მუხროვანის საქმე

2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ნაწილში მოხდა ამბოხის მცდელობა. ამბოხების მცდელობა დროში დაემთხვა მაშინდელი ოპოზიციის მასობრივ, ხანგძლივ საპროტესტო აქციებს, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე თვის მანძილზე გალიებით იყო გადაკეტილი რუსთაველის პროსპექტი. ამბოხებულთა მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლების გადაყენება იყო. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ შესძლო აჯანყებულთა დაყოლიება იარაღის დაყრაზე. როგორც შემდგომმა ოპერატიულმა მასალებმა ცხადჰყო, ამბოხი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებულ შემდეგ პირებს მიენიჭათ პოლიტპატიმრის სტატუსი:

გორგიაშვილი შოთა, ფოცხვერაშვილი ბესიკი, ჯაჭავაძე ზვიადი, თოფურიძე ირაკლი, ბეგოანია ალექსანდრე, გრიგალაშვილი ბექა, ბიბილაშვილი ნიკოლოზი, მიქაძე ზურაბი, მურჯიკნელი ზაზა, საბაშვილი ვანო, საგინაშვილი ვაჟა, საგინაშვილი იმედა, ოთანაძე კობა, ხოხაშვილი პაატა, ბზიშვილი ზურაბ, სამადალაშვილი გიორგი, ჯოლბორდი კახა, დვალი კახა, ამირიძე ლევან, ხუცურაული ვაჟა.

ენვერის საქმე

სპეცოპერაცია „ენვერის“ ფარგლებში ქართულმა სპეცსამსახურებმა საქართველოში რუსეთის დაზვერვის ქსელი გააუვნებელყვეს. ყველა დაკავებული პირი ახალმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა და მიანიჭა პოლიტ-

პატიმრის სტატუსი. ესენი არიან: **გევორქიანი არმენ, გალოგრე რუსლანი, შიკოიანი რუბენი, სკრილნიკოვი იური, აბდულაევი ედუარდი, მესხიძე დავითი, კიღურაძე ბაკური, აბაშიძე ტარიელ, კაკაბაძე გელა, პლუჟნიკოვი ვიაჩესლავ, დიასამიძე გოჩა**.

აღსანიშნავია, რომ მათი ნაწილი (მაგალითად, იური სკრილნიკოვი) რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ.

2011 წლის 25 ოქტომბერს, ქართულმა ძალოვნებმა რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს **დავით ლონდარიძე, სერგეი ჩაპლიგინი და გიორგი გორელაშვილი**. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ოცნებამ“ ყველა დაკავებული ჯაშუშს მიანიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი და გაათავისუფლა.

2016 წლის 11 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ გაათავისუფლა და რუსულ მხარეს გადასცა 2005 წლის გორის ტერაქტის შემსრულებელი ოთხი პირი, რომელთაგან სამს უვადო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ყველა გათავისუფლებული პირი რუსეთის მოქალაქეა.

„სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“

2010 წელს შეიქმნა პრორუსული, ულტრანაციონალისტური დაჯგუფება „სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“. შექმნიდან სულ ცოტა ხანში, ამ ორგანიზაციის აქტივისტები თავს დაესხნენ ტვ „კავკასიას“ ტელეეთ-

ერის დროს იმის გამო, რომ ისინი არ იზიარებდნენ მათ შეხედულებას უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით. აღნიშნული პირები დაკავებულ და გასამართლებულ იქნენ.

„ოცნების“ ხელსუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ პირებს მიენიჭათ პოლიტპატიმრის სტატუსი: **აფხაიძე შოთა, ბლიაძე ზვიადი, ჩაჩუა ლევანი, შალამბერიძე დავითი, გაბედავა გიორგი, მაისურაძე რატი, გურჩიანი ჯაბა, ზუმბაძე ავთანდილი.**

ვახტანგ მაისაია. გამოძიების თანახმად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის აქტიური ფაზის დროს იგი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს აწვდიდა ქართული ჯარის გადაადგილების კოორდინატებს, რის გამოც 2009 წელს იგი იქნა დაპატიმრებული. 2012 წელს მისი ამნისტირების შემდეგ მას მიენიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი.

ვაჰაგან ჩახალიანი. 2012 წლის შემოდგომაზე ახალმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა ცნობილი პრორუსი სეპარატისტი ვაჰაგან ჩახალიანი, რომელიც წლების მანძილზე სამცხე-ჯავახეთის საქართველოსგან ჩამოშორებისთვის იბრძოდა.

3. „ოცნება“ და ჩრდილო კავკასია

აჰმედ ჩატაევი. 2017 წლის ნოემბერში, ქართული სპეცდანიშნულების რაზმის მიერ, თბილისის საცხოვრებელ უბანში, ორ სხვა ბოევიკთან ერთად მოკლულ იქნა აჰმედ ჩატაევი. აღსანიშნავია, რომ ჩატაევი დაპატიმრებული იყო ენმ-ს ხელისუფლების დროს. ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, „ოცნებამ“ ჩატაევი საპყრობილიდან გაათავისუფლა. იყო საუბარი მასზე, როგორც პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულზე. ჩატაევი გაემგზავრა საქართველოდან, აღმოჩნდა სირიაში და გახდა ისლამური სახელმწიფოს მაღალი რანგის საველე მეთაური. ის არის სტამბოლში, ათათურქის აეროპორტში ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი და აშშ-ის ხელისუფლების მიერ შეყვანილი იყო საერთაშორისო ტერორისთა სიაში. დღემდე დაუდგენელია, თუ როგორ მოხვდა ცალხელა და ცალფეხლა აჰმედ ჩატაევი საქართველოში თანამებრძლებთან ერთად და როგორ მოახერხა მან თბილისის ცენტრში ბინის დაქირავება და მისი გავსება იარაღითა და საბრძოლო მასალით.

მაგომედ მაგომედოვი. დაღესტნელი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ვეტერანი. ჰქონდა საქართველოში დევნილის სტატუსი. 2013 წლის 19 აპრილს იგი ქალაქ თბილისიდან უცნობმა პირებმა გაიტაცეს. პოლიციის თანახმად, მისი ტელეფონი ბოლოს ჩართული დაფიქსირდა საოკუპაციო

ხაზთან, ანაკლიის მახლობლად. მოგვიანებით, წითელმა ჯვარმა იგი რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ საპყრობილეში აღმოაჩინა.

მიქაელ კადიევი. დაღესტნელი უფლებადამცველი და ოპოზიციონერი, რომელიც დაღესტანში ანტი სახელისუფლებო მიტინგებს აფინანსებდა. ივანიშვილის ხელისუფლებამ იგი დააპატიმრა ტერორიზმის მუხლით, თუმცა შემდგომში მოხდა ბრალის გადაკვალიფიცირება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაზე. პატიმრობისას, ძალოვანი უწყებები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას და აიძულებდნენ იმის აღიარებას, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით საქართველოში ხდებოდა ტერორისტების გაწვრთნა. სასჯელის მოხდის შემდეგ, მიქაელ კადიევის რუსეთში ექსტრადირების საკითხი ღიად დგას. საქართველოს პროკურატურა ასაბუთებს ექსტრადირების აუცილებლობას რუსეთის ფედერაციიდან მიღებულ წერილზე დაყრდნობით, სადაც ნათქვამია, რომ: „რუსეთის ფედერაცია იღებს ვალდებულებას, რომ თქვენ გექნებათ დაცვის გამოყენების უფლება და არ დაექვემდებარებით, არაადამიანურ და ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას“.

საიხან მუზაევი. ჩეჩენი აქტივისტი, რომელმაც შემდგომში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მაღალჩინოსანი ვალერი ზუმბაძე მასზე ახდენდა ზეწოლას ენმ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმეგ ჩვენების მიცემის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციით. მან რამდენ-

ჯერმე სცადა საქართველოს დატოვება და დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად წასვლა, თუმცა იგი ქართველმა სამართალდამცავებმა საზღვარზე არ გაატარეს. საბოლოოდ მუზაევმა მოახერხა ავსტრიაში გამგზავრება და თავშესაფრის მოთხოვნა.

ზელიმხან ხანგოშვილი. ჩეჩნეთის ომის ვეტერანი. 2015 წელს თბილისის ცენტრში მისი მოკვლა სცადეს სავარაუდოდ ფსბ-ს ქილერებმა, თუმცა ხანგოშვილი მძიმედ დაიჭრა და გადარჩა. ხელისუფლებამ არ გამოიძია საქმე და მიუხედავად კამერების ჩანაწერისა, ვერ მოახდინა თავდამსხმელების იდენტიფიცირება. საქმე აღიძრა სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლით. ზელიმხან ხანგოშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, „ოცნებამ“ დახურა ჩრდილო კავკასიელებზე გათვლილი რუსულენოვანი დამოუკიდებელი არხი **პიკ-ტვ**.

„ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტა ჩრდილოკავკასიელი სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასტიპენდიო პროგრამები.

საქართველოს საზღვრის კვეთისას, ეთნიკური ჩრდილო კავკასიელები აწყდებიან ხელოვნურ დაბრკოლებას, რაც არ შეინიშნება რუსეთის სხვა რეგიონების მკვიდრების მიმართ.

4. „ოცნების“ მიერ ანტი-რუსი პოლიტიკოსების, სამხედროების და დაზვერვის ოფიცრების დევნა

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს მესამე პრეზიდენტი და პირველი სუვერენული სახელმწიფოს ლიდერი, რომელმაც თანამედროვე რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია განიცადა. „ოცნების“ ხელისუფლებამ სააკაშვილის წინააღმდეგ ოთხი საქმე აღძრა, სამი ძალაუფლების გადამეტების / ბოროტად გამოყენების, ხოლო მეოთხე – თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებით. პირველ სამ საქმეში მის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება ირიბია ხასიათისაა, რაც დაუშვებელია სასამართლოსთვის. ამ მტკიცებულებსაც იძლევიან დაინტერესებული პირები, ანუ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები (მაგ., ღიად პრორუსი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე). ერთ-ერთ საქმეზე, სააკაშვილს მიუსაჯეს პატიმრობა დანაშაულისთვის, რომელიც არ არსებობს – რეალურად, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლების (პატიმართა შეწყალების) გამოყენებისათვის. გაფლანგვის საქმე ანალოგიურად უნიკალურია, რამდენადაც სადაო ხარჯები ძირითადად ეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელებას (როგორიცაა უცხოური დელეგაციების მასპინძლობა) და გაიწევა სააკაშვილის მემკვიდრის მიერაც, ანალოგიური წესით. სააკაშვილი იმყოფება პოლიტიკურ დევნილობაში.

ბაჩო ახალაია – ყოფილი თავდაცვისა და შს მინისტრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ჯარის მოდერნიზაციასა და სამხედრო მრეწველობის შექმნაში, ასევე – საქართველოში ორგანიზებული კრიმინალისა და ქურდული სამყაროს დამარცხებაში. ბრალად ედება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. დაპატიმრებულია 2012 წლიდან. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების (პროკურატურის) მხარეს ჩვენებები მისცეს რუსმა ჯაშუშებმა და ქურდული სამყაროს წარმომადგენლებმა. ასევე, როგორც 2018 წლის ოქტომბერში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტებიდან ირკვევა, „ოცნების“ გავლენიანი ფიგურის, მირზა სუბელიანის აღარებით, ახალაიას საქმის ზოგიერთი მოწმე აწამეს მათგან სასურველი ჩვენების მისაღებად.

ვანო მერაბიშვილი – ყოფილი შს მინისტრი და პრემიერ მინისტრი. მისმა უწყებამ ჩაატარა არაერთი სპეცოპერაცია რუსული აგენტურული ქსელების წინააღმდეგ. ბრალად ედება სახელმწიფო დასაქმების პროგრამის დარღვევა, დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ორგანიზება და კორუმპირებული ჩინოვნიკისთვის ჩამორთმეულ აგარაკზე ოჯახთან ერთად დასვენება. პატიმრობაშია 2013 წლიდან. აღსანიშნავია, რომ მერაბიშვილი პატიმრობაში რჩება ევროსასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელმაც მის მიმართ კონვენციის 18-ე მუხლის დარღვევა დაადგინა. ყველა სხვა სახელმწიფომ, რომლიც მიმართაც ასეთი დარღვევა დადგინდა, გაათავისუფლა შესაბამისი პატიმარი.

რომან შამათავა – აფხაზეთის კუდ-ის ყოფილი უფროსი, რომელიც მოქმედებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ. შამათავას ჩატარებული აქვს არაერთი წარმატებული სპეცოპერაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 2012 წლის დასაწყისში, მისი მონაწილეობით სოხუმის იზოლატორიდან გამოხსნილ იქნა საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული სასულიერო პირი, მამა იონა და გადმოყვანილ იქნა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. „ოცნების“ ხელისუფლებამ შამათავას ბრალად დასდო 2008 წლის ხურჩის ტერაქტის ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ მის წინააღმდეგ საქმეში

პროკურატურის მიერ წარდგენილ იქნა სერგეი ბაღაფშის საგაზეთო ინტერვიუ, რომელშიც ეს უკანასკნელი ტერაქტის მოწყობაში ქართველებს ადანაშაულებს. დაპატიმრებულია 2013 წლიდან.

ზურაბ შამათავა – ვიცე-პოლკოვნიკი, მეოთხე ბრიგადის ყოფილი მეთაური, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირი. დააპატირეს 2012 წლის ბოლოს და ბრალად დასდეს ჯარისკაცების წამება (რაც გამოიხატებოდა მათ მკაცრ ვარჯიშში) და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. საპყრობილეში გაატარა 2 წელიწადი. ამჟამად გათავისუფლებულია.

ალექსანდრე გორგაძე – საქართველოს არმიის მთავარი სერჟანტი, საქართველოს გმირი, იბრძოდა 2008 წელს რუსეთის წინააღმდეგ და დაატყვევა რუსი აგრესორი. ბრალად ედებოდა სამსახურეობრივი უფლებამოსილების

ბოროტად გამოყენება. დაპატიმრებული იქნა ზურაბ შამათავასთან ერთად და ციხეში გაატარა 2 წელიწადი. ამჟამად გათავისუფლებულია.

კახაბერ ნაკანი – სპეცდანიშნულების რაზმის წევრი. იბრძოდა 2008 წელს რუსეთის წინააღმდეგ და მონაწილეობას იღებდა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ წარმოებულ სპეცოპერაციებში. ბრალად ედება განზრახ მკვლელობა, თუმცა ადგილი ჰქონდა ანტიკრიმინალურ სპეცოპერაციას. ამჟამად პატიმრობაშია.

რევაზ ჭარბაძე – ენმ-ს დროს შექმნილი სამხედრო საწარმო „დელტას“ ყოფილი უფროსი. მის სახელს უკავშირდება საქართველოში თანამედროვე სამხედრო წარმოების შექმნა. იმყოფება დევნილობაში, რადგან მასზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე კანონიერი ქურდის ჩვენების საფუძველზე.

ერეკლე კოდუა – სოდ-ის ყოფილი უფროსი. მის ანგარიშზეა უამრავი სპეცოპერაცია რუსეთის სპეცსამსახურებისა და ქურდული სამყაროს წინააღმდეგ. მათგან აღსანიშნავია ბადრი პატარკაციშვილთან ლონდონში გამართული შეხვედრის ფარული ჩაწერა, რომელშიც ოლიგარქი საქართველოში შს მინისტრის „დაძინებასა“ და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. ამჟამად იმყოფება დევნილობაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამო.

კობა თოდუა – სამხედრო დაზვერვის ყოფილი უფროსი. მის ანგარიშზეა რუსეთის დაზვერვის არაერთი ქსელის აღმოჩენა. ამჟამად პატიმრობაშია.

ლევან ტაბიძე – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი. მის ანგარიშზეა არაერთი ოპერაცია რუსული სადაზვერვო ქსელების წინააღმდეგ. იმყოფება პატიმრებაში.

გიორგი მაზმიშვილი – კუდ-ის ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი. მის ანგარიშზეა არაერთი სპეცოპერაცია რუსეთის სპეცსამსახურებისა და ქურდული სამყაროს წინააღმდეგ. დაპატიმრებულია.

გია ლორთქიფანიძე – შს მინისტრის ყოფილი მოადგილე. მის სახელს უკავშირდება ვარდების რევოლუციის შემდგომ პანკისის ხეობაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. იმყოფება დევნილობაში, რადგან მასზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გიგი კალანდაძე – გენერალი, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი. „ოცნების“ ხელისუფლებამ იგი დააპატიმრა 2012 წლის ბოლოს, ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე. მომხდარის გამო, საქართველოში ნატოს დელეგაციის უმნიშვნელოვანესი ვიზიტები გაუქმდა. ამჟამად იმყოფება დევნილობაში.

5. სპეცოპერაცია „კოდორი 2007“

მოკლე ისტორია

2007 წლის ზაფხულში ქართულმა სპეცდანიშნულების დანაყოფმა ჩაატარა სპეცოპერაცია ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, კი კოდორის ხეობაში, რომელიც იმ დროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა. ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა ორი რუსი ოფიცერი. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, განადგურებულ იქნა ბანაკი, სადაც აღნიშნული ოფიცრების მიერ ხდებოდა აფხაზი ტერორისტებისა და დივერსანტების წვრთნა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შემოსაგზავნად. ოპერაციიდან მცირე ხნის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ოპერაციის დამგეგმავებისა და შემსრულებლების დასჯა მოსთხოვა. ინციდენტის შესახებ უმაღლეს დონეზეც გაჟღერდა, კერძოდ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან იკითხა, თუ რას აკეთებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროები.

შალვა თათუხაშვილი – იბრძოდა 2008 წელს რუსეთის წინააღმდეგ, მონაწილეობდა კოდორის ხეობაში რუსი დივერსიული რაზმის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში. 2014 წლის მარტში გაიტაცეს და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო 22 დღის მანძილზე. იგი დაი-

კითა რუსულად მოსაუბრე პირების თანდასწრებით. იყო ნაწამები. გარდაიცვალა 2014 წლის 24 მარტს.

ზვიად ლაგვილავა – სპეცოპერაცია კოდორი 2007-ის მონაწილე. დაიღუპა აფეთქების შედეგად 2014 წლის 28 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში, სუსის შენობაში. აფეთქებიდან ერთი საათის შემდეგ, გამომძიებელმა გააკეთა განცხადება, რომ აფეთქება გაუმართავმა წყლის გამაცხელებელმა გამოიწვია. შემდგომი ექსპერტიზის ჩატარების ნაცვლად, მეორე დღესვე მოხდა ორართულიანი შენობის სასწრაფო წესით დემონტაჟი. ლაგვილავას ოჯახი და მისი ადვოკატი საუბრობენ დაგეგმილ მკვლელობაზე.

ალექსანდრე დანელია – მონაწილეობდა კოდორის ხეობაში რუსი დივერსიული რაზმის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში. გარდაიცვალა 2014 წელს გაურკვეველ ვითარებაში. ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას – მიუხედავად იმისა, რომ სხვეულს აღენიშნება ორი ცეცხლსასროლი ჭრილობა. აღსანიშნავია, რომ მისი გვამი პირველად დაათვალიერა იმავე გამომძიებელმა, ვინც იძიებს რომან შამათავას საქმეს.

სერგო უბილავა – მონაწილეობდა კოდორის ხეობაში რუსი დივერსიული რაზმის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში. გარდაიცვალა 2014 წელს საპყრობილეში, გაურკვეველ ვითარებაში. ოფიციალური ვერსიით, გარდაცვალების მიზეზი იყო ციროზი.

ივანე (ვანო) ივანიძე – დაიღუპა ავტოკატასტროფაში. იყო შალვა თათუხაშვილის პირადი მძღოლი. მისმა საფრანგეთში მცხოვრებმა ძმამ, დავით ივანიძემ ივანიძის სიკვდილის დეტალები მიაწოდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს. დავით ივანიძის განცხადებით, მისი ძმა რამდენჯერმე დაიკითხა კოდორი 2007 სპეცოპერაციასთან დაკავშირებით და დაკითხვა ხდებოდა რუსულად მოსაუბრე ორი პირის თანდასწრებით. მანქანას, რომელშიც დაიღუპა, აღენიშნება ნატყვიარი.

არჩილ მამაგეიშვილი – შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის ვეტერანი. იგი მოკლეს თბილისში 2016 წელს გასროლით. მკვლელობა მოხდა დღისით აღსრულების ეროვნული ბიუროს შენობის წინ. ოფიციალური ვერსიით, მკვლელობის მოტივი ბიზნეს დავა იყო, თუმცა ოჯახი ამ ვერსიას არ იზიარებს, რადგან მამაგეიშვილს დავის საგანზე ბევრად მეტი აქტივები ჰქონდა და ის მეორე მხარესთან ფაქტობრივად უკვე მორიგებული იყო. ოჯახი დარწმუნებულია, რომ არჩილ მამაგეიშვილის მკველობა დაკავშირებულია მის მონაწილეობასთან სპეცოპერაცია კოდორი 2007-ში.

6. „ოცნების ხელისუფლების პრორუსული ქმედებები“

2016 წელს, თავდაცვის სამინისტრომ საიდუმლო საფორტიფიკაციო ობიექტზე შეიყვანა ტრისტან წითელაშვილი, თავისი ღიად პრორუსული პოზიციით ცნობილი აქტივისტი, რომელსაც საზოგადოებაში ბევრი რუსეთის ჯაშუშად მიიჩნევს. პასუხად, თავდაცვის მინისტრმა, მინდია ჯანელიძემ განაცხადა, რომ წითელაშვილის მიერ მონახულებული სამხედრო ობიექტები არ იყო საიდუმლო.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვებიდან მალევე, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ყველა ქართული სადაზვერვო ჯგუფი გაშიფრული იქნა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ.

2017 წლის იანვარში რუსეთში შემდგომი დეპორტაციის მიზნით, უკრაინაში დაპატიმრებული იქნა რუსეთის მოთხოვნით ინტერპოლის მიერ ძებნილი ქართველი სამხედრო გია ცერცვაძე, რომელიც იბრძოდა 2008 წლის ომში და იყო მნიშნელოვანი ინფორმაციის მფლობელი. ინტერპოლის მიერ ცერცვაძის ძებნის შესახებ, ბუნებრივია, იცოდა ქართულმა მხარემ, რის გამოც ცერცვაძე გამგზავრებისას 40 წუთით შეაყოვნეს საზღვარზე. მიუხედავად ამისა, მას არ აცნობეს, რომ იგი იძებ-

ნებოდა, დაუშვეს მისი გამზგავრება და პოტენციური ექსტრადიცია რუსეთში. საბოლოო ჯამში, ცერცვაძე რუსეთს არ გადაეცა. იგი გათავისუფლდა უკრაინის ხელისუფლების მიერ, საქართველოს წინა ხელისუფლებასთან ასოცირებული კერძო პირების ჩარევით.

2013 წლის ივნისში ქართველმა სამართალდამცავებმა სამეგრელოს ტყეებში „აღმოაჩინეს“ სამალავები. სამალავებში ინახებოდა კასრები, ხოლო კასრებში თავის მხრივ, თითქოს ნაპოვნი იქნა „წამების კადრები“ და საბრძოლო მასალები, რომლებიც ხელისუფლების ვერსიით, გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ენმ-ს მიერ შესაძლო დესტაბილიზაციისას. სინამდვილეში, ეს სამალავები წარმოადგენდა შესაძლო რუსული აგრესიის პირობებში თავდაცვითი ომისთვის აუცილებელ ობიექტებს, რომელიც შეიქმნა საქართველოს ძალოვანი უწყებების მიერ. ბუნებრივია, მათი არსებობისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად ჰქონდა შესაბამის უწყებებში 2012 წელს მოსულ „ოცნებას“. ამ სამალავების „აღმოჩენით“ და გასაჯაროვებით, დიდი ზიანი მიადგა საქართველოს თავდაცვისუნარიანობას.

ვლადიმირ ბედუკაძე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც არათუ პირადად მონაწილეობდა პატიმრების წამებაში, არამედ იყო ე.წ. „ციხის კადრების“ დიდი ნაწილის დამდგმელი რეჟისორი, მთავარი მოქმედი პირი და პროდიუსერი, დაჯილდოვებულ იქნა ქ. მოსკოვში პუტინთან ასოცირებული „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“ მიერ „სიმამაცისა და მედიაში მომხდარი

გარღვევისთვის“, რომელმაც „განაპირობა მიხეილ საა-კაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის აღსასრული“. აღ-სანიშნავია, რომ ციხის სკანდალმა გადამწყვეტი გავ-ლენა იქონია 2012 წელის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, რომელშიც ბიძინა ივანიშილის კოალიაცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ბედუკაძეს დღემდე ემსახურება ხელისუფლების მიერ დანიშნული სახელმწიფო დაცვა.

2014 წლის დეკემბერში საქართველოს თავდაცვის მინ-ისტრის მოადგილედ დაინიშნა ღიად პრორუსული პარ-ტიის, „დემოკრატიული მოძრაობის“ (ბურჯანაძის პარ-ტია) წევრი – ლევან ღირსიაშვილი.

2015 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმა-ციო განყოფილების უფროსად დაინიშნა კრემლის იდე-ოლოგ ალექსანდრ დუგინთან და მისი ევრაზიის ინსტი-ტუტთან ასოცირებული გიორგი გვიმრაძე.

საბიუჯეტო კონტრაქტები მედიებთან, რომლებიც სი-ძულვილის ენას, ანტიდასავლურ განწყობებს აღვივე-ბენ და რუსული პროპაგანდის ტირაჟირებას ახდენენ: 2014-2016 წლის პრაქტიკის მსგავსად საბიუჯეტო ორ-განიზაციები აგრძელებენ რეკლამის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით კონტრაქტების გაფორმებას ისეთ მედია საშუალებებთან, რომლებიც სიძულვილის ენას და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებენ. საბიუჯეტო კონ-ტრაქტები 2017 წელს ღიად პრორუსულ გამოცემებთანაც გაფორმდა. მეტიც, მთავრობის კონსოლიდირებულ ტენ-დერში გამარჯვებულთა შორის პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული ტვ „ობიექტივი“ მოხვდა. პრორუსული

სარედაქციო პოლიტიკის მქონე „ხარისხის არხთან“ კი ხელშეკრულება დღეისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს გაფორმებული. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, 2016 წლის მსგავსად, ინფორმაციის გავრცელებაზე კონტრაქტი 2017 წელსაც ღიად პრორუსულ გამოცემა „თბილისი 24“-თან აქვს გაფორმებული. ეს უკანასკნელი პრორუსულ პარტია „ცენტრისტებთან“ დაკავშირებული ორგანიზაციაა, რომელიც წინასაარჩევნოდ საქართველოში რუსული ბაზების დაკანონების მოთხოვნით გამოვიდა. ,,თბილისი 24“ ხშირად აქვეყნებს ყალბ მასალებს, რომლებიც დასავლეთს შესახებ დეზინფორმაციებს შეიცავს, ასევე განადიდებს სტალინს.

მედიის ფინანსური გამჭირვალობა. საბოლოო ანგარიში. 2017. მედიის განვითარების ფონდი.

2015 წლის აპრილში საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე არ დაესწრო 2008 წელს საქართველოს ომში დაცემული ქართველი გმირების ნეშტის ფრაგმენტების დაკრძალვის ცერემონიალს მუხათგვერდის საძმო სასაფლაოზე. მიუსვლელობის მიზეზად მინისტრმა „მოუცლელობა“ დაასახელა. მინისტრის განმარტებით, ეს არ იყო დაკრძალვა, ეს იყო ცერემონიალი, რომელიც უკავშირდებოდა დნმ-ის ზუსტი დადგენისთვის აღებული ნიმუშების მიწისთვის მიბარებას.

2013 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით ჯალაღანია დაესწრო პრორუსული ჯგუფების მიერ ორგანიზებულ პროპაგანდისტული წიგნის, „უცნობი პუტინის“ პრეზენტაციას.

2017 წლის სექტემბერში პროკურატურამ დაიწყო ხელახალი გამოძიება 2009-2010 წლების ტერაქტების სერიაზე, იმის დასადგენად, მართლა იდგა თუ არა ამ ტერაქტების უკან რუსეთი. 2009-2010 წლების ტერაქტებს შორის არის თბილისში, აშშ-ის საელჩოსთან მომხადრი აფეთქება, რომელთან დაკავშირებით საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები დაეთხვა აშშ-ში ჩატარებული მოკვლევის შედეგებს, ტერტორისტული აქტის უკან გრუ იდგა. შემსრულებლები დააკავეს და გაასამართლეს.

2017 წლის იანვარში თბილისში იმყოფებოდა პუტინის მძიმეწონიანი პროპაგანდისტი, ჟურნალისტი ვლადიმირ მამონტოვი. ის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევით იყო ჩასული 2014 წლის აპრილში სომხუმში. ამის დამადასტურენელი დოკუმენტების გავრცელების მიუხედავად ივანიშვილის ხელისუფლებამ მამონტოვის მიმართ არ აღასრულა კანონის მოთხოვნა.

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არცერთხელ 26 მაისს არ ჩატარებულა სამხედრო აღლუმი. საგულისხმოა, რომ ანალოგიური პოლიტიკა ჰქონდა ვიქტორ იანუკოვიჩს.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით საქართველომ მიიღო მინაწილეობა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში, მიუხედავად მიმდინარე ოკუპაციით გამოწვეული ბევრი პროტესტისა და ასევე იმისა, რომ რუსებმა

ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ 2008 წლის ომში მონაწილე „გმირი მფრინავი“ ნეჩაევი შეარჩიეს. მეტიც, ქართული სამთავრობო დელეგაცია გახსნის ცერემონიალზე სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

2013 წლის ივლისში კულტურის მინისტრი მოადგილე მანანა ბერიკაშვილი გორის საკრებულოს თავმჯდომარეს წერდა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სააკაშვილის მთავრობის მიერ მოხსნილი სტალინის ქანდაკების აღდგენა და მისი განთავსება სტალინის მუზეუმის სიახლოვეს.

2017 წელს საქართველოს ხელისუფლებამ „გაზპრომთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომელის მიხედვითაც, შეიცვალა სომხეთში გაზის ტრანზიტის ანაზღაურების სქემა, სადაც საქართველო გატარებული გაზის 10%-ის ნაცვლად მიიღებს ფულად კომპენსაციას. აღსანიშნავია, რომ გაზპრომი დაახლოებით 10 წელია ითხოვდა მსგავსი ცვლილების შეტანას შესაბამის ხელშეკრულებაში.

2015 წლის ოქტომბერში საქართველოს დელეგაციის არცერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციებს. საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში მანანა კობახიძის, ეკა ბესელიას, ზვიად კვაჭანტირაძისა და გუგული მაღრაძის შემადგენლობით იმყოფებოდა.

2014 წელს ხელისუფლების მხრიდან დაიწყო დაღესტან-კახეთის რუსეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე აქტიური საუბარი. ანალიტიკოსების აზრით, ამ გზას პირველ რიგში სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იმდროინდელმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „რაც უფრო მეტი გზა აშენდება, მით უკეთესი“.

2013 წელს „ოცნების“ ხელისუფლებას ჰქონდა ოკუპაციის შესახებ კანონის შეცვლის რამდენიმე მცდელობა, რაც ითვალისწინებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ შემსვლელ უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობისგან გათავისუფლებას – განსხვავებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სხვა მნაკვეთებისგან.

2017 წელს საქართველოს ეწვია მოსკოვის ყოფილი მერი, იური ლუჟკოვი, რომელიც ცნობილია საოკუპაციო რეჟიმების მხარდაჭერით და რომელსაც არაერთხელ ჰქონდა დარღვეული კანონი ოკუპაციის შესახებ. „ოცნების“ ხელისუფლებას“ არ გადაუდგამს ნაბიჯები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსასრულებლად.

2014 წელს საქართველოს ეწვია რუსეთისა და პუტინის ერთ-ერთი საკვანძო იდეოლოგი, მაქსიმ შევჩენკო, რომელსაც ასევე არაერთხელ ჰქონდა დარღვეული კანონი ოკუპაციის შესახებ. „ოცნების“ ხელისუფლე-

ბას“ არ გადაუდგამს ნაბიჯები საქართველოს კანონ-მდებლობის მოთხოვნათა აღსასრულებლად.

ზოგადად, 2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ხშირად სტუმრობენ რუსეთის დუმის დეპუტატები, ოკ-უპაციის კანონის დარღვევით. ხელისუფლება არაფერს აკეთებს კანონის მოთხვონათა აღსასრულებლად.

2013 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაიწყო სტალინის ძეგლების აღდგენა.

საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსდა ღიად პრო-რუსული მედიასაშუალებები, მაგალითად: ობიექტივი, საქართველოს რესპუბლიკა, კვირის ქრონიკა, ალია, და ასავალ-დასავალი. გარდა ამისა მედიის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა პრორუსული რიტორიკითა და წამებით ცნობილი პირის, ვლადიმერ ბედუკაძის საა-გენტო. მეტიც, პრო-რუსულ პარტია „ცენტრისტებთან“ დაკავშირებული გამოცემა „თბილისი 24“.

ენმ-ის ხელისუფლების მიერ ჯაშუშობაზე გასამართლებ-ული ბიზნესმენის, პეტრე დერვიშაძის კუთვნილი კომპა-ნია შპს „მარგიო“ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სისტემატურად იმარჯვებდა თავდაცვის სამინ-ისტროსა და სუს-ის ტენდერებში და სახელმწიფოსგან იღებდა მილიონობით შემოსავალსა და დაკვეთებს.

2018 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტის დეპუ-ტატმა, ემზარ კვიციანმა აღიარა, რომ 2006 წლის კოდო-

რის სპეცოპერაციის დროს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდა. მისი თქმით, რუსეთის სპეცსამსახურებმა მას რუსულ ტელეარხებზე ანტიქართული განცხადებების გაკეთება დაავალეს. ემზარ კვიციანს, რომელიც რუსეთში გაიქცა და მიიმალა, მისჯილი ჰქონდა 12-წლიანი პატიმრობა. თუმცა, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებული, პროკურატურის შუამდგომლობითა და „ოცნების“ დეპუტატებს თავდებით, იგი გათავისუფლდა. აღსანიშნავია, რომ კვიციანის აღიარებაზე „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ეს მისი პირად ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული და ამაზე დამატებით კომენტარს ვერ გააკეთებდა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნების“ ხელისუფლებამ, ცესკო-ს მეშვეობითა და ხმების/ბიულეტინების მანიპულაციით, ხელი შეუწყო ღიად ანტიდასავლური და პრორუსული პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ პარლამენტში მოხვედრასა და ფრაქციის შექმნას, რასაც თან კონკრეტული პოლიტიკური და ფინანსური სარგებელი ახლავს.

ისეთმა ღიად პრორუსმა პოლიტიკოსებმა, როგორებიც არიან ირმა ინაშვილი, ნინო ბურჯანაძე და სანდრო ბრეგაძე, არ დააყენეს თავიანთი კანდიდატურები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, სავარაუდოდ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

7. ვინ დაიწყო 2008 წლის ომი?

ამერიკის ხმა: დღეს-დღეობით ქვეყნის თავდაცვას ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი მიაქვს. თქვენს შემთხვევაში როგორ გადანაწილდება თანხები?

ბიძინა ივანიშვილი: კონკრეტულ შეფარდებებს ბიუჯეტში ახლა ვერ დავასახელებ, მაგრამ რაც სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ გააკეთა ამ კუთხით, უამრავი უმეცრება შეიძლება დავინახოთ. დაწყებული ტანკების შესყიდვიდან, შემდეგ იმ ავანტურაში ჩართვით, როგორც დაიწყეს ომი.

ბიძინა ივანიშვილის *ინტერვიუ „ამერიკის ხმასთან“.*
19 მაისი, 2012 წ.

„როგორ დაიწყო ყველაფერი – რაღაც გაუგებარი ბანდფორმირებები ისროდნენ სამი დღის განმავლობაში ქართული სოფლების მიმართულებით. არავინ ჯერ არ იყო მოკლული, მხოლოდ ერთ სახლში შევარდა ნამსხვრევი. მას მერე სამი დღე ტელევიზიით აჩვენებდნენ. აუცილებელი იყო ამ სოფლების მოსახლეობის ევაკუაცია, ევროპიდან დამკვირვებელთა გამოძახება – შესაძლოა ამით ყველაფერი დამთავრებულიყო. მან კი რა გააკეთა? შეიყვანა ტანკები, ჰაერში ააფრინა თვითმფრინავები,

რის შემდეგაც საქართველოში რუსეთის რეგულარული ნაწილები შემოვიდა. სააკაშვილს არ უნდა ეპასუხა“.

ივანიშვილის *ინტერვიუ ლატვიურ გაზეთ „ტელეგრაფთან“, სექტემბერი 2013.*

„გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ საჯარისო ნაწილები მზადყოფნაში მოვიდა და დაიწყეს საომარი მოქმედებები მანამ, სანამ რუსეთმა გადმოლახა საზღვარი. გაურკვეველი ბანდფორმირებები ისროდნენ და ჩვენი პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად ადეკვატური იქნებოდა საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევა და მონიტორინგი. ეს პროცესი შესაძლებელი იყო ამ დონეზე დასრულებულიყო. მე ვუყურებდი ყველა სატელევიზიო გამოშვებას და არაფერი სასწაული არ მომხდარა. ერთ-ერთი ნაღმტყორცნი შევარდა ერთ-ერთ სახლში და რაღაც კედელი დააზიანა, არცერთი ადამიანი არ გარდაცვლილა. საკმარისი იქნებოდა სოფლიდან მაქსიმუმ 100 მაცხოვრებლის გაყვანა და საჯარისო შენაერთების ჩაყენება. ერთადერთი სწორი ნაბიჯი ალბათ საერთაშორისო თანამეგობრების მოწვევა იყო. ჩემთვის გაურკვეველია, რატომ გაკეთდა ასეთი რამ, რაც ჩემში კითხვებს იწვევს. აგვისტოს ომის გამოძიება არ დააზიანებს არც საქართველოს, არც წინა ხელისუფლების და არც პრეზიდენტის იმიჯს. ტალიავინის ჯგუფის ჩანაწერებიდან ევროპას სულ სხვა წარმოდგენა აქვს, ხოლო წინა ხელისუფლება საქართველოში სულ სხვა ინფორმაციას ავრცელებს“.

ივანიშვილის *შეხვედრა ჟურნალისტებთან, 12 აპრილი, 2013.*

„ნაციონალურ მოძრაობას“ ისე გამოჰყავს, რომ ეს 2008 წლის ომი დაიწყო რუსეთმა და მოიგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ნაციონალური მოძრაობის“ სულელური ქმედებები რომ არა, ის რაც მოხდა, არ მოხდებოდა.

ივანიშვილის *შეხვედრა მედიასთან*
14 ივნისი, 2016

„ჩვენ ერთად მოვნახავთ ძალას და შევძლებთ პატიებას. ჩვენ შევძლებთ არა მარტო პატიებას, ჩვენ ჩვენი ბრალის აღიარების და მონანიების ძალაც შეგვწევს. ჩვენ ქართველ დედებს კიდევ ერთხელ მოვუხდით ბოდიშს.“

ბიძინა ივანიშვილი.
ივლისი 2012.

„2008 წლის ომი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ძირითადი დანაშაული იყო.“

„ჩემს ოპონენტებს ძირითადად მოყავდათ, რომ ომი იყო 2008-ში და ომის შემდგომ აბა რა იქნებოდაო. 2009-2010 ცუდი იქნებოდაო. თითქოს ეს ომი ბუნებრივი სტიქია იყო, რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებდით. სწორედ ომი იყო ძირითად დანაშაული იმ ხელისუფლების.“

„მართვა არ იცოდნენ და ქვეყანა კატასტროფისკენ წაიყვანეს. ერთ-ერთი სწორედ იყო ომი, იმ ომის თავიდან აცილებას არაფერი არ უნდოდა. უკეთესი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. რა დღეშია და რა დღეში ჩაყარეს მოსახლეობა. მაშინ სამშვიდობოები იყვნენ, ახლა ოკუპირებული ტერიტორიები მივიღეთ. ეს, რა

თქმა უნდა, მათი უაზრობის და ყველაზე უხეში საჯარო სიტყვა რაც კი შეიძლება ვიხმაროთ – ყველაფერი უმეცრობა და სისულელეები გააკეთეს და ეს მივიღეთ, რაც მივიღეთ. შესაბამისად, როგორ განვითარდებოდა იქ ეკონომიკა. ომი რომ იყო და უბედურება რომ გააჩაღეს, იმიტომ მივიღეთ ის ეკონომიკა“.

ივანიშვილის *შეხვედრები რეგიონულ მედიასთან.*
სექტემბერი 2016.

„ჩვენ გვსურს ამ ჩიხიდან გამოსვლა და ეს მათ გაღიზიანებას იწვევს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ქვეყნის სასიკეთოდ, ნაბიჯ-ნაბიჯ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩევნს დაკარგულ ტერიტორიებს. სწორედ ეს აშფოთებს მათ, ვინც ამ ტერიტორიების დაკარგვაში ლომის წილი მიუძღვის“.

პრემიერ მინისტრი ***ბიძინა ივანიშვილი.***
14 ოქტომბერი, 2013.

„ბატონო ბიძინა, თქვენს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს გაუაზრებელმა ქმედებამ გამოიწვია რუსეთის კიდევ უფრო გაუაზრებელი ქმედება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ თქვენ პასუხისმგებლობას აკისრებთ ამ სიტუაციაში ქართულ მხარეს და მას მიიჩნევთ, როგორც ომის ინიციატორს? „ინტერპრესნიუსის“ და „პალიტრა ტივი“-ს რეპორტიორის ვასილ გაფრინდაშვილის კითხვას ბიძინა ივანიშვილმა ასე უპასუხა:

„პირველ რიგში, მე მოვიშველიებ ტალიავინის დასკვას, მეორეც, მე წამოვიღე საპარლამენტო ასამბლეის

რეზოლუცია რუსეთ -საქართველოს ომის შედეგების შესახებ, რომელსაც ქართულმა დელეგაციამაც მისცა ხმა. ტალიავინის განცხადებაშიც და ამ რეზოლუციაშიც დაფიქსირებულია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, პროცესი როგორ ვითარდებოდა. მოგეხსენებათ, ლიახვის სოფლები იბომბებოდა ოსეთის მხრიდან გაუგებარი ფორმირებებისაგან. ჩემი აზრით, სააკაშვილს უნდა დაეცვა ეს სოფელი, თითოეული მოსახლე შეიძლებოდა გამოეყვანა და საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა მდგომარეობა. სააკაშვილმა ჩაიდინა აბსოლუტურად გაუაზრებელი ქმედება და დაიწყო ცხინვალის დაბომბვა. ეს ფიქსირდება ყველაგან, გარდა იმ სამი არხისა, რომელიც მე ჩამოვთვალე[რუსთავი 2, იმედი, პირველი არხი]. მსოფლიოში ყველამ ყველაფერი კარგად იცის, საქართველოს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ.

სააკაშვილი გვარწმუნებს, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და მოიგო საქართველომ. გარდა იმისა, რომ ადამიანებს მეხსიერება არ დაუკარგავთ, ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვია. მახსენდება ჯორჯ ორუელის „1984“ ფიქრის პოლიცია. ქართველი ხალხის ზომბირებას აპირებენ. განა არ გვახსოვს, ლომაია როგორ გვმოძღვრავდა ლევიტანივით, ეს სოფელი ავიღეთ და ამ სოფლებს ასახელებდა. განა ამის შემდეგ არ წამოვიდა ის დიდი აგრესია რუსეთისგან. ჩვენ სიმართლეს უნდა შევხედოთ. ნუ ცდილობენ ქართველი ხალხის მოტყუებას და დაბნელებას. მსოფლიოში ყველამ ყველაფერი კარგად იცის. სამი ხსენებული არხი სამი დღის განმავ-

ლობაში ამაზე ჩემი განცხადების გამო, ჩემი კრიტიკის გარდა არაფერს აკეთებდა. ასე იყო სიტუაცია. ჩვენი მეხსიერების წაშლას და ჩვენ ზომბირებას ისინი ვერ მოახერხებენ, თუმცა ამის მცდელობა აქვთ“.

ბიძინა ივანიშვილი. *1 ნოემბერი, 2011.*

„სააკაშვილმა ჯერ 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა, მის ხელისუფლებას წყალი შეუდგა, გამოსავალი კი ომი აღმოჩნდა. „სააკაშვილი [...] ფიქრობდა, რომ თუ ის ოსეთის ტერიტორიას ომით აიღებდა, ამით ის სავარძელს გაიმაგრებდა“.

ბიძინა ივანიშვილი. *9 აგვისტო, 2012.*

„რეზოლუციაში, რომელსაც ხელს საქართველოს მთავრობაც აწერს, წერია, რომ ომი დაიწყო საქართველომ. ჩემი აზრით, ერთადერთი, რაც სააკაშვილს მაშინ უნდა ექნა, უნდა დაეცვა სოფლები, მიეწვია მსოფლიო ორგანიზაციები და ეჩვენებინა რა ხდებოდა იქ, სააქართველოს პრეზიდენტმა კი სასწაული ჩაიდინა, ცხინვალში ომი წამოიწყო. ეს საქციელი ფიქსირდება ყველგან. დღეს ყველა ქართული საინფორმაციო საშუალება ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და მოიგო საქართველომ, ამას იძახის სააკაშვილიც, მაგრამ ქართველი ხალხი ჭკვიანია და გონების ამორეცხვა არც ისე ადვილია. ჩვენ ვიცით რეალობა და გონებას ვერ შეგვიცვლიან“.

ბიძინა ივანიშვილი. *1 ნოემბერი, 2011.*

„სააკაშვილმა ორჯერ ომი მოახერხა რუსეთთან და პრაქტიკულად ეგ შემოუძღვა რუსულ ჯარებს.“

ბიძინა ივანიშვილი.
1 სექტემბერი, 2016.

„სალომე ზურაბიშვილის პოზიცია 2008 წლის ომთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოზიციას შეესაბამება“.

***ირაკლი კობახიძე**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. 2018 წლის აგვისტო, ზურაბიშვილის სკანდალური განცხადებების შემდეგ.*

„სააკაშვილმა, ზუსტად თქვენმა სააკაშვილმა დაიწყო ომი... ჩემთვის პირადად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ომი რუსეთმა დაიწყო თუ ომი საქართველომ დაიწყო“.

***კახა კალაძე**, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი, ამჟამად თბილისის მერე. 2012 წელს, წინასაარჩევნო შეხვედრაზე.*

„ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედებები. ლიახვის სოფლები იბომბებოდა გაუგებარი ფორმირებების მიერ“.

***ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ-მინისტრი. 2012.*

„სააკაშვილმა გააკეთა აბსოლუტურად გაუაზრებელი არაადეკვატური ქმედება, დაიწყო ცხინვალის დაბომბვა. ეს ფიქსირდება ყველგან“.

***ბიძინა ივანიშვილი**, საქართველოს პრემიერ-მინისტრი. 2012.*

„ჩვენ დავბომბეთ ჩვენი მოსახლეობა... როგორ ვთქვათ, რომ მთლიანობა გვინდა?“

***სალომე ზურაბიშვილი**, ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენო კანდიდატი. 2018.*

2007 წელს სალომე ზურაბიშვილმა ქართულ მხარეს დააბრალა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფელ წითელუბანში ავიაციის მიერ საჰაერო რადარის დაბომბვა, რათა შემდეგ ეს დაბომბვა რუსეთს დაბრალებოდა.

„როცა ეს ყველაფერი არის სახეზე, იმ მომენტში პროვოკაციაზე აყოლა და შენს ტერიტორიაზე, შენს მოსახლეობაზე მასიური დაბომბვის დაწყება, ამას რა ჰქვია – უგუნურობა, გიჟი პრეზიდენტის ახირება, თუ რაღაცა უცნაური და გაუგებარი გარიგება ჩვენს საუკუნოვან მტერთან“.

***სალომე ზურაბიშვილი**, ქართული ოცნების მხარდაჭერილი საპრეზიდენო კანდიდატი. 2018*

„თუმცა, ამ [რუსული] სცენარის განხორციელების აუცილებელი პირობა იყო ის მოქმედებები, რომელიც განახორციელა, სამწუხაროდ, მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ. რომ არა ავანტურისტული მიდგომა, რომ არა უგუნურება, ვერ შეძლებდა რუსეთის ფედერაცია ამ სცენარის განხორციელებას. ეს იყო მისი [სალომე ზურაბიშვილის] დაზუსტება, მისი დაკონკრეტება და ეს სრულად შეესაბამება, რა თქმა უნდა, ჩვენს პოზიციას“.

***ირაკლი კობახიძე**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. სექტემბერი 2018*